სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 8 თებერვალი 2008 №027 (3251) ფასი 50 თეთრი

ეს თუ რამეს მოგვცემს

საქართველო 3:0 ლატვია

ხან წაგებებთ, ხან წაგებებთ!

ფიქრები ნაღლაფვიანებს



ბადრი კეთილაძის ფოტო

ჩვენ 3:0 გვეკუთვნის!

სრული და არასრული ვარიაციები

კარგი ამბავია: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას თავისუფლად შეუძლია, ფიფაში იჩივლოს და საქართველო — ლატვიის მატჩის ანგარიშის (1:3) გადასინჯვა მოითხოვოს. დარწმუნებულები ვართ, ფიფა ჩვენს მხარეს დაიჭერს.

აი, რა ხდება: მატჩის წინა დღეს პრესკონფერენციაზე კლაუს ტოპმიოლერმა გვითხრა, შეთანხმების მიხედვით, ექვსი შეცვლის უფლება გვაქვსო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ოთხშაბათს, თამაშისას, ლატვიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ სტარკოვსმა შვიდი ფეხბურთელი შეცვალა, ანუ შეთანხმება დაარღვია.

მოდით, რომ არ შეგვეშალოს, ერთხელაც გადავითვალოთ: ვანინსი (კოლინკო 46), კლავა (ზირნისი 90), ვიშნიაკოვი (ჟიგაევი 46), სოლონიცინი (კაჩანოვი 90), ცაუნია (რუბინსი 46), ვერპაკოვსკისი (პერეპლოტინსკი 83), კარლსონი (რიმკუსი 77).

რამდენი გამოდის? სწორია, შვიდი! ფიფა კი ამგვარ შემთხვევებში შეუვალია — საქართველოს აშკარად ერგება ტექნიკური გამარჯვების ჩათვლა. ჩვენ 3:0 გვეკუთვნის!

აბა, დავუფიქრდეთ, რამდენ სიკეთეს მივილებთ, საქმის ამგვარი შემობრუნებით?! მომავალი თაობები იმ მატჩის მიმოხილვას ალბათ არ წაიკითხავენ, სამაგიეროდ, სტატისტიკის წიგნებში ჩაიხედავენ და ნახავენ, რომ 2008 წლის თებერვალში ჩვენს ეროვნულ გუნდს ოთხი წლით ადრე ევროპის ჩემპიონატზე მოთამაშე გუნდთან 3:0 მოუგია და გაუხარდებათ. გარდა ამისა, ფიფა-„კოკა-კოლას“ რეიტინგის შემდგენლები ქულებს აღარ დაგვაკლებენ და რეიტინგში უკან აღარ დაგვწევენ — პირიქით, ეგებ, მსოფლიოს 70-ეულშიც შეგვიყვანონ და მერე ბრიტანეთის შრომის დეპარტამენტსაც შემოსადავებელი აღარაფერი ექნება, „ბირმინგემის“ იურისტების არგუმენტებს ველარაფერს დაუპირისპირებს და ლევან ცქიტიშვილს „ბირმინგემში“ თამაშის უფლებას მისცემს.

ერთი სიტყვით, ხეირი აშკარაა და ეს ყველაფერი იმის გამო, რომ ბატონ სტარკოვსს იმდენი გონიერება არ ეყო, უკვე მოგებული მატჩის ბოლო წუთზე ერთი შეცვლით ნაკლები გაეკეთებინა.

აი, ჩვენი მთავარი მწვრთნელი, კლაუს ტოპმიოლერი — ექვსი შეცვლის უფლება კი ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ სამი გამოიყენა და ამათგან ერთი იძულებით. ფიფა ვერაფერში შეედავება...

მაგრამ...

მაგრამ გამოჩნდება ვიღაც ინტრიგანი და იტყვის, რომ საქართველოს ნაკრებს იმ თამაშში თუნდაც 9:0 მოგება ჩაუთვალონ, მაინც ვერაფერი ხეირიაო. აქაოდა, მთავარი ამხანაგურ მატჩში მოგება-წაგება კი არა, თამაშის ხარისხია, რომლითაც ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა მომდევნო შესარჩევ ციკლში თამაშების უმეტესობა უნდა მოიგოს და მეორე ადგილზე მაინც გავიდეს, მერე პლეი ოფიდან რომ ეცადოს მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვებასო...

მაგრამ შევეშვათ ინტრიგნებსაც და ფიფასაც და უფრო სერიოზულად ვილაპარაკოთ.

ნამატჩევს კლაუს ტოპმიოლერმა პრესკონფერენციაზე თქვა, როცა სრული შემადგენლობა გვეყოლება, სერიოზულ შედეგზე ფიქრი შეგვეძლებაო.

სრული შემადგენლობა...

ამ რამდენიმე თვის წინ „სრული შემადგენლობის“ თაობაზე „სარბიელში“ წერილი დავწერეთ, რომელშიც ვცდილობდით დაგვესაბუთებინა, რომ ამგვარი არგუმენტებით თავის მართლება, თავის მართლების მეტი არაფერია.

როგორც ჩანს, იმ წერილის თავიდან დაწერაა საჭირო...

ტრავმას, მოგეხსენებათ, ეროვნება არ აქვს და ქართველი ფეხბურთელები ზუსტად იმავე სიმძიმით და იმავე ინტენსივობით იმტვრევიან, როგორც, ვთქვათ, იტალიელი ფეხბურთელები.

მაგრამ რა გამოდის: თუ იტალიელებს, ვთქვათ, ოცი მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავთ და მათი ნახევარი დაშავდა, ათი კაცი მაინც რჩებათ. ხოლო ქართველებს მაღალი კლასის ფეხბურთელთა ნახევარი რომ დაგვემტვრეს, ალბათ, ერთნახევარი ფეხბურთელი დაგვრჩება. განსხვავება აშკარაა და თუ ამ საკითხს ჩავუღრმავდებით, სათავეები კლაუს ტოპმიოლერისგან საკმაოდ შორს, ეროვნულ ჩემპიონატთან მიგვიყვანს. მაგრამ ამ თემაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ, ახლა კი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ზემოხსენებულ ფრაზას მივუბრუნდეთ.

როცა სრული შემადგენლობა გვეყოლება, სერიოზულ შედეგზე ფიქრი შეგვეძლებაო...

და თუ ტრავმას ეროვნება არ აქვს და თუ ქართველებს ათობით უმაღლესი კლასის ფეხბურთელი არ მოგვეძიება, როგორ წარმოგიდგენიათ, როდის შეძლებს კლაუს ტოპმიოლერი „სრული შემადგენლობის“ შეკრებას? შეგვიძლია, ნიძლავს ჩამოვიდეთ, რომ მომდევნო ორ წელიწადში — რა ვადითაც მას კონტრაქტს გაუხანგრძლივებენ — მწვრთნელს ნებისმიერი მატჩისას შეეძლება თქვას, რომ „სრული შემადგენლობა“ ვერ შეკრიბა.

ტოპმიოლერისეული ნაკრების საუკეთესო თამაში შოტლანდიასთან რომ იყო, ამაზე ყველანი ვთანხმდებით, მაგრამ, აბა, გავიხსენოთ, რას ამბობდა იმ მატჩის წინ მწვრთნელი: „შოტლანდია ფავორიტია, რადგან შემადგენლობაში პრობლემები გვაქვს.“

და ისევ, გამოდის: თამაშის წინ ყოველთვის „სრული შემადგენლობის“ არყოლას ვუჩივით, ნამატჩევს კი, იმის მიხედვით, მოვიგებთ თუ წავაგებთ, მწვრთნელი ან დანაკლისის სრულფასოვან შემცვლელებზე ლაპარაკობს, ან, როგორც ოთხშაბათს იყო: როცა სრული შემადგენლობა გვეყოლება, სერიოზულ შედეგზე ფიქრი შეგვეძლება... ასათიანმა და კალაძემ ვარჯიშზევე დაიჩივლეს, რომ ასეთ მოედანზე თამაში გაჭირდებოდა და ასეც მოხდა... ასათიანმა, ისევე, როგორც მჭედლიძემ და გოგუამ ტრავმებით ითამაშეს...

და რა არის, იცით: ჩვენ გვესმის იმ პრობლემებისა, რომლებზეც მწვრთნელი ლაპარაკობს. ჩვენ დიდი ხანია, ვიცით ამ პრობლემების არსებობის თაობაზე, ანუ ტოპმიოლერი ახალს არაფერს გვეუბნება.

ხოლო თავის მართლება იმით, „სრული შემადგენლობა“ რომ მყოლოდა, მეტოქისგან ქვას ქვაზე არ დავტოვებდიო, ბატონო ტოპ, ამის მოსმენა, გარწმუნებთ, არავის აღარ სურს. ამის თქმას ნებისმიერი ადამიანი მოახერხებს, საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს კი ცოტა მეტს ვთხოვთ.

კოტე კეკელია

ზესტაფონმა გელაშვილი გამოუშვა

თურქეთში შეკრებაზე მყოფი „ზესტაფონი“ „ბელეკის თასის“ ფინალში რომ გავიდა, გეცოდინებათ. ახლა კი გაირკვა, ვინ იქნება მისი მეტოქე — დღეს იმერლები ფინალში უნგრულ „ჰონვედს“ შეხვდებიან.

ფეროელები საქართველოს თასის ფინალში ზედიზედ სამჯერ გავიდნენ, მაგრამ ერთხელაც ვერ იმარჯვეს და იქნებ თურქეთში, „ბელეკის თასი“ მაინც დაისაკუთრონ.

და ერთიც: საქართველოში დაბრუნდა გუნდის ახალწვეული თავდამსხმელი ნიკა გელაშვილი, რომელმაც ამ ტურნირის მეორე მატჩში ბრაზილიურ „პტაკთან“ მძიმე ტრავმა მიიღო — ლავიწის ძვალი გაუტყდა.

ნიკა გელაშვილი მკურნალობას თბილისში გაავრძელებს.

ნუკრი ლოლაძე

ბირმინგემი ცქიტიშვილს აღარ გაასაჩივრებს

მაკლიშმა დეპარტამენტს ვერ გაუგო

ინგლისური ვებგვერდების ცნობით, ლევან ცქიტიშვილის „ბირმინგემში“ გადასვლა საბოლოოდ ჩაიშალა.

მოგეხსენებათ: ბრიტანეთის შრომის დეპარტამენტმა ცქიტიშვილს სამუშაო ვიზა არ მისცა და ბირმინგემელები გასაჩივრებას აპირებდნენ, თუმც გადაიფიქრეს...

„ჩემთვის გაუგებარია რატომ არ მისცეს სამუშაო ვიზა ფეხბურთელს, რომელიც კარიერის პიკში იმყოფება. შრომის დეპარტამენტმა ფიფას ადგილებით იმსჯელა, რამაც ფეხბურთელის ხარისხს შეურაცხყოფა მიაყენა. ცქიტიშვილი ჩვენს გუნდს ნამდვილად გააძლიერებდა, მით უფრო, რომ პრემიერლიგაში დასარჩენად ვიბრძვით. ჩვენ შეგვეძლო, საქმისთვის მსვლელობა მიგვეცა, მაგრამ ადვოკატებთან მოლაპარაკების შემდეგ გართულებებს მოვერიდეთ“ — განაცხადა ბირმინგემელთა მწვრთნელმა ალექს მაკლიშმა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

geo_geo_fan@hotmail.com

დროა, დრო!

საქართველოს ეროვნული ნაკრების მორიგ მარცხს, ცხადია, „სარბიელის“ ფოსტაში წერილები მოჰყვა და ჩვენც აქვე გთავაზობთ...

U-RUKHADZE: გუმარჯოს! ახლა არ ვიცი, ფანების წერილების რუბრიკა თუ არსებობს, მაგრამ მაინც...

მოკლედ, დავიწყებ იმით, რომ ამ მატჩის მერე, ალბათ, მეათეჯერ მაინც დავრწმუნდი, რომ ეს გუნდი ასეთი მწვრთნელის ხელში ვერ მოხვდება სამხრეთ აფრიკაში 2010 წელს. უზარმაზარი ხელფასის მიუხედავად, კლაუს ტოპმიოლერი არ ეკიდება საქმეს სერიოზულად, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ.

ფეხბურთელს ელემენტარული სათამაშო პრაქტიკა ხომ უნდა ჰქონდეს, ნაკრებში რომ ეძახი სათამაშოდ?! ძალიან დიდ პატივს ვცემ ჩვენს ყველა ფეხბურთელს, მაგრამ რევაშვილი ასე თუ თამაშობს კლუბშიც, რა თქმა უნდა, მას არ ანდობენ ადგილს ძირითადში, ან თუ ტოპმიოლერს კალაძეასათიანის ტანდემი დაცვაში მსოფლიოში ერთერთ საუკეთესოდ მიაჩნია, მაშინ რატომაა ამდენი შეცდომა?

ძალიან უცნაურია გამოძახების პრინციპი ნაკრებში. სირაძე თამაშობს მეორე ბუნდესლიგის მაჩანჩალა კლუბში, რამდენიმე თვეა, არ აქვს სათამაშო პრაქტიკა და ათამაშებ დროის უმეტეს ნაწილს მარტოს, მეწყვილეს გარეშე. მგონი, შეცდომაა, ნაკრებში პრინციპების გამო არ იძახებდე იაშვილს, დემეტრაძეს; კონფლიქტი გაქვს ხიზანიშვილთან და რაღაც დროს აძლევ მოსაფიქრებლად. იქნებ თვითონ დაფიქრდეს, თუ რა უნდა საერთოდ. ბოდიშის მოხდა რომ საქმეს არ უშველის, ეგეც კარგად იცის კლაუსმა, სამაგიეროდ, გარანტირებულ მილიონებს ჩაიდებს ჯიბეში.

ყენია და მჭედლიძე ვერ გაქაჩავენ მთელ შესარჩევს, უკვე ეტყობათ, რომ ისედაც ბევრს ითხოვენ მათგან. მოკლედ, ასეთი შეფასება მაქვს მე და ალბათ ბევრი დამეთანხმება.

და კიდევ ერთი, ამას წინათ წავიკითხე, რომ უარი უქვამთ ნიგერიასთან ამხანაგურ თამაშზე. ნეტავ, რა მიზეზია ასეთი — არ ჯობდა, ესტონეთთან თამაშს ნიგერიასთან თამაში?

მე მგონი, განსხვავებული ტიპის გუნდია, ლატვია და ესტონეთი კი ერთნაირად თამაშობენ.

სულ ეს არის, ახლა მომაფიქრდა და დავწერე.

შემდეგ თამაშებზე, იმედია, მხოლოდ პოზიტიურზე ვილაპარაკებთ.

DATOKANDELAKI: დავმარცხდით ისევ, ამჯერადაც სამარცხვინოდ. ეს ძველი ამბავია. „ზაპოროჟეცს“ სულ არ სჭირდება სუპერბენზინი, უბრალოთიც იჩანჩალებს — ესეც ძველი ამბავია, მაგრამ ამ გუნდს მილიონიანი მწვრთნელი რაში სჭირდება? აჰ, გამახსენდა, „ფარერების“ გადასწრებას ხომ სჭირდებოდა ტოპ-მწვრთნელი...

ეს ამხანაგური მატჩი იყო ცუდი შედეგით, მაგრამ უფრო ცუდი თამაშით. ტოპ-მწვრთნელმა და ბატონმა ნოდარმა, „ნაკრები პროგრესირებსო“ — მე ამის არ მჯერა. აგერ ბურთი და აგერ მოედანი. ვითამაშებთ ისევ. მორიგ შესარჩევ მატჩებს და, ღმერთმა ქნას, ჩერნოგორია ლატვიის დონის გუნდი აღმოჩნდეს და...

არ მინდა, მორიგი ორი წელი ჯგუფის ფსკერზე ვიყოთ, თავჩახრილი. დროა, რამე შეიცვალოს, დროც საკმაოდაა...

geo_geo_fan@hotmail.com

ამხანაგური მატჩები

ნორვეგია (U-21) 1:0 ფინეთი (U-21)
ორჰუსი 2:0 ფრედერისია
ბრონდბიუ 4:0 ფრემადი
ბრანი 1:0 კოპენჰაგენი
სტიაუა 1:0 ლოკომოტივი (ს)
სლავია 3:2 კლადნო

აფრიკის თასი 2008

ნახევარფინალი
კოტ დივუარი 1:4 ეგვიპტე

ფინეთი

ლიგის თასი
II ჯგუფი. II ტური
მარიეჰამნი 2:0 იარო

ხან წააგებ, ხან წააგებ!

საქართველო ლატვიას კალაძის გოლსდა გამორჩა...

საქართველოს ეროვნული ნაკრების ლატვიასთან მატჩს გვარიანი გამოხმაურება რომ მოჰყვებოდა, ცხადი იყო. თან თუ დაკვირვებულები ხართ, მოგებული თამაშის მერე გამოხმაურებები უფრო ნაკლებია, ვიდრე წაგებულის მერე.
ამას თავისი ახსნა აქვს, მარცხით გულმოკლულ გულშემატკივარს გულის მოფხანა სწადია და ინტერნეტზეც თუ მიუწვდება ხელი...
ერთი სიტყვით, სარბიელური რუბრიკა geo-geo-fan-ის განვრცობა გადავწყვიტეთ და დღეს forum.ge-ზე საქართველო — ლატვიის მატჩისთვის საგანგებოდ გახსნილ თემატურ გვერდზე გულშემატკივართა მსჯელობებს წარმოგიდგენთ...

Castro-urdiales: ჰა, რა ჰქნეს ბიჭებმა და კლაუსამ, მოვიგეთ?!

Bettinger: როგორც ყოველთვის, გააზარეს გულშემატკივარი — ამჯერად, ლატვიელები...

Skulls&Bones: ნუ ნერვიულობთ, ბიჭებო! ჩვენი ნაკრების დევიზია: ხან წააგებ, ხან წააგებ!

Otofon2: ნეტავ, შოტლანდიელები დამანახა, საქართველო — ლატვიის ანგარიშს რომ გაიგებენ...

Castro-urdiales: ისა და, ლატვიას გასვლა სად მოუგია ეგეთი ანგარიშით? არა, რაზეა საუბარი: თავი დავხაროთ, ფუჩეჩი დავიყაროთ და შევეჩვიოთ, რომ ... ვართ.

Zvintik: აცალეთ რა ამ კაცს, აცალეთ ბოლო-ბოლო, ვაა...

Le Roi: დღეს საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ საქართველოში არაფერი არ არსებობს. არანაირი წესი და მოქცევის ცოდნა. არსად. ისეთი სიტუაციაა, რომ ვერც ვერავინ დაანათლებს, ძალიანაც რომ მოინდომოს. გაქანებული ყანაა.

Bettinger: კიდევ უნდა გავიმეორო ეს კითხვა: საბოლოო ჯამში, რა აზრი ჰქონდა ამ ტესტ-მატჩს? რა აზრი ჰქონდა ამ ამინდში, წლის ამ დროს თამაშს კარგად ორგანიზებულ ჩრდილოური ყაიდის გუნდთან? ტესტ-მატჩს რაღაც მიზანი ხომ უნდა ჰქონდეს? თუ მოგებით გუნდის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას პირებდნენ, რის ხარჯზე? ვინმემ დაინახა მწვრთნელის მიერ დაგეგმილი და წარმართული თამაში? თუ კიდევ და კიდევ ფეხბურთელების როტაციას აპირებს ეს კაცი, მაშინ რა შედეგზე ლაპარაკობს შესარჩევში? თუ ტესტ-მატჩები მარტო იმიტომ უნდა გაიმართოს, რომ ფედერაციას მუშაობაში ჩაეთვალოს?

Sammolino: დაგვანახა კიდევ ერთხელ, რომ 0 შანსია, რომ მსოფლიოზე გავიდეთ.

Druncha: საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი რომ გაიხსნა და კეტაშვილმა ავტოგოლი გაიტანა, იმის მერე გვაქვს სასტიკად ცუდად საქმე — როგორ თარსადაც დაიწყო დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი, ისევე გრძელდება.

მოვითხოვ „იბერია" — „კოლხეთის" გადათამაშებას.

ასევე საქართველო — მოლდოვას, 0:1 რომ წავაგეთ...

Orioni: პირადად მე, ამ ფეხბურთელებისგან მეტს არ ველი. ძალიან დაბალი დონეა. ნუ მწვრთნელზე ზედმეტია საუბარი.

ამ შემადგენლობით ვერაფერს ვიზამთ, ამიტომ დავჯერდეთ ყარაულის თოფივით გავარდნილ მოგებებს.

იყო ასეთი თემა — რომელზე გავალთ ამ ციკლში. მაშინ დავწერე, ბოლოზე-თქო (ღმერთმა ნუ ქნას). ახლა კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სწორად დამიწერია.

Papa_Karla: რა მოხდა, რომ წავაგეთ, მერე რა...

მთავარია, მსოფლიოზე გავალთ და-

Mixeilius: იცი ჩემი სიყვარული და დამოკიდებულება ჩვენი ნაკრების მიმართ და ამ თამაშით ვერსადაც ვერ გავალთ. არადა, ზუსტად ის გუნდი ეყენა, რომელზეც ვოცნებობდი და ის ფორმა ეცვათ.

Achiflo: საცოდავი. სირცხვილი. ბავშვები. ქაოსი. უმწვრთნელო. უმიზნო. უამბიციო. უსაქმური ფედერაცია.

Footballersgirl: ცუდად ვარ... ისა და, ხიზანა რომ გამოეძახა, გოლს გაიტანდნენ თუ...

ხიზანას უფრო მაღალი კლასი აქვს, ვიდრე კალას და მახოს?

საშინელებაა...

გოცირიძის შეყვანა როგორ მოგეწონათ?

Morse: მოდი, რამე სერიოზული აქცია ჩავატაროთ ფედერაციის წინ. მოვითხოვთ ახალკაცის და ტოპმიოლერის გადაყენება. იტყვით, ამით არაფერი შეიცვლებაო, მაგრამ ვცადოთ, გავასაზიზღროთ.

Footballersgirl: ფედერაცია იტყვის, რა ჩვენი ბრალია, ფეხბურთელებმა ვერ ითამაშესო... რამეს იტყვიან... თავს გაიმართლებენ... მე უკვე აღარ ვიცი, ვისი რა ბრალია...

Mazara: სტადიონიდან ისე გავიდნენ, თავს ვერ წევდნენ მაღლა.

Sava062: აუცილებელია, რომ რაღაცნაირად გამოვხატოთ გულშემატკივრებმა პროტესტი. ან მომდევნო თამაშზე არ მივიდეთ, ან ყველამ შავები ჩავიცვათ.

Al Fayed: ტოპმიოლერს გინდა აცალე, გინდა არა. აზრი არ აქვს.

Chkarika: მე მაინც მგონია, რომ არავინ არ უნდა მივიდეს საერთოდ სტადიონზე, რომ ეს ახალკაცი მიხვდეს იქნებ რამეს და წავიდეს.

ან ივივე უქნას ტოპიკას.

ან არ ვიცი, რაღაც ქნან.

უბრალოდ, მართლა ჯობია, რომ საპროტესტო ნოტები დავაგზავნოთ ყველასთან. არც ერთ თამაშზე არ უნდა მივიდეს არავინ, სანამ ფეხბურთის თამაშს არ ისწავლიან, ან არ ასწავლიან. სირცხვილია უკვე...

Zmuzu: მე მგონი, ვიცი, რატომ წავაგეთ. მაისურებზე დაბადების წელი, დღე და ზოდიაქოს ნიშანი უნდა დაეწერათ.

Sava062: მეც მგონია, რომ არავინ უნდა წავიდეს სტადიონზე. შევკრათ საინიციატივო ჯგუფი და საზაროებთან მოვუწოდოთ ხალხს, რომ თამაშზე არ წავიდნენ.

Zmuzu: არ დასჭირდება ჯგუფის შეკვრა. ისედაც არავინ მივა. შეიძლება, „პატრიოტები" მიიყვანონ.

Lejava: მე არც „პატრიოტი" ვარ, არც ნაციონალისტი და არც ოპოზიციის მიტინგებზე დავდივარ. მე მიყვარს ქართული ფეხბურთი, საქართველოს ნაკრებიც და მისი გუშინდელი მარცხი არც არავისზე ნაკლებად განვიცადე, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, იმედი მაინც არ დამიკარგავს და სტადიონზე აუცილებლად ვივლი!

ისე, მაგ აქციას თუ გააკეთებთ, მე მგონი, კარგიც იქნება — იქნებ ის ვაიგულშემატკივრები მოაშორონ სტადიონს!

Chkarika: უკაცრავად, მაგრამ სად ნახე ქართული ფეხბურთი? ან საქართველოს ნაკრები?

Don Diego: მაგ დებილური თამაშის ყურებას მეორე ტაიმში დალევა ვარჩიე და სწორადაც მოვიქეცი. აღარ შემიძლია ყველაფერზე ნერვების გლეჯა.

Footballersgirl: გულშემატკივრობა იცით, რა არის საერთოდ? ბოლომდე უნდა დაუდგე ნაკრებს მხარში და გაამხნევო... რაც გუშინ მოხდა, არ იყო გულშემატკივრობა.

არ იცოდეთ მაინც!

Sava062: lejava, გეტყობა, ახალგაზრდა, ენერგიული ყმაწვილი ხარ. მე კი უკვე 30-ს გადავაბიჯე და ის ენთუზიაზმი, რაც შენ ჯერ კიდევ გაქვს, უკვე დავკარგე. აღსანიშნავია, რომ რაც საქართველოს ნაკრები არსებობს, არც ერთი თამაში არ გამიცდენია (არც ოფიციალური და არც ამხანაგური) და, სავარაუდოდ, ყველაფერს აქვს საზღვარი.

Lejava: გასაგებია თქვენი გულისტკივილი, მაგრამ მარცხი, მე მგონი, უნდა გაანალიზოთ და მიზეზებზე ილაპარაკოთ. არა იმაზე, რომ საქართველოს ნაკრები არ არსებობს და ქართული ფეხბურთი მოკვდაო! პირიქით, იმდენი გამოცდილი ფეხბურთელი და იმდენი ტალანტი გვყავს, დიდი გუნდის გაკეთებაც კი შეგვიძლია და მსოფლიოზე გასვლაც. უბრალოდ, სწორი მუშაობაა საჭირო. გუშინდელი მარცხის მიზეზი კი მხოლოდ და მხოლოდ ტოპის ბრალი იყო და მგონი, საჭიროც, რათა ჩვენი ნაკრების მწვრთნელმა დაინახოს, რომ მხოლოდ გამოუცდელ ტალანტებზე ნაკრების აგება არ შეიძლება და დარწმუნებული ვარ, მიხვდა ამას! ისე, გუშინდელი მარცხი მერჩივნა იმას, რომ მოეგოთ და მერე ტოპის შექმნოდა ილუზია, ასე კარგიაო და ნაკრები კობის, იაშვილის, ხიზანიშვილის, ცქიტიშვილის და კიდევ სხვა გამოცდილი ფეხბურთელების გარეშე დაეტოვა!

ეს არ იყო ნაკრების სახე, რაც გუშინ ნახეთ. ეს თითქმის მესამე გუნდი იყო და დარწმუნებული ვარ, რომ ნაკრები, რომელიც ჩვენ გვყავს და თანაც საშუალოზე კარგი, ნამდვილად გავა მსოფლიოზე და ეს მარცხი მხოლოდ ამ თვის რეიტინგზე იმოქმედებს უარყოფითად, თორემ სხვა რამეში წესით, უნდა დაგვეხმაროს.

Allan-Poe: მაგარი მომბეზრდა უკვე ყველაფერი...

Georgian_Legend: ყველაზე ცუდი, იცი, რა არის? უკვე გულიც აღარ მწყდება, ჩვენი ფეხბურთელები რომ აგებენ. შევეჩვიე, რომ არ ვარგა ჩვენი საფეხბურთო ნაკრები.

რასაც თქვენ წერთ, ანუ მიზეზების გაანალიზებას, ეგ იმდენჯერ გაგვიკეთებია, რომ უკვე ყველანაირი აზრი დაკარგა ამ ყველაფერმა. რამდენიც არ უნდა გავაანალიზოთ და განვიხილოთ, დასკვნა ამდენი წაგების მერე, ერთია: ჩვენ არ ვართ საფეხბურთო ქვეყანა, არ გვყავს კარგი ფეხბურთელები, არ გვყავს ერთად შეკრული გუნდი. კარგი ფეხბურთელები რომ გვყავდეს, ამდენჯერ ასე უაზროდ და უშანსოდ, სულ მწვრთნელის გარეშე რომ ათამაშო, მაინც არ წააგებდნენ.

Libero_J: ისე, „საშინელი" ხალხი ვართ რა... როგორ უნდა გიხაროდეს კაცს, რომ შემდეგი 4 ამხანაგური თამაში გასვლაზეა... არადა, ახლა უცებ მაგან გამიელვა თავში...

Lasha-giorgi: ასე გაგრძელება არ შეიძლება. ისე, ეს ტოპმიოლერი რაღად გვინდა?

Demetre07: ჩვენი ნაკრები გუშინ საშინელება იყო.



ბადრი კეთილაძის ფოტო

გაკეთებული და გაუკეთებელი!

გუშინწინ საღამოს საქართველოს ნაკრებმა ძველის-ძველ მეტოქე ლატვიასთან 1:3 წააგო და თავის ნაცრისფერ ისტორიას ერთი მუქი ტონიც შემატა. მართალია, შეხვედრა ამხანაგური იყო, მაგრამ, ცხადია, უკეთესი იქნებოდა, ახალი შესარჩევი ციკლისწინა პერიოდი ჩვენებს გამარჯვებით დაეწყოთ. თქმაც არ უნდა, რომ სეზონის პირველ მატჩში მეტოქის ძლევა გუნდში ფსიქოლოგიურ ფონსაც გააუმჯობესებდა და გუნდის წევრთა საკმაო ნაწილი ახალ სეზონს თავთავიანთ კლუბებში კარგი განწყობით შეხვდებოდა. არც მწვრთნელს ექნებოდა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე საქმე საბოდიშოდ და გუნდის შენებასაც უფრო მეტი ხალისით გააგრძელებდა. ახლა რა გამოვიდა?! ერთი წაგებით, თანაც არც ისე ძლიერ მეტოქესთან, ნახევარი საქართველო, თავის ნაკრებიან-ფედერაციანად მოშხამულია და ბოლოდროინდელი უსაფუძვლო ეიფორიიდან მტკივნეულად გამოდის... ოთხშაბათის წარუმატებლობას უამრავი ობიექტურ-სუბიექტური მიზეზი ჰქონდა. ახლა კი ვეცდებით, ლატვიასთან მოთამაშე ფეხბურთელებზე და მწვრთნელზე ცალ-ცალკე ვთქვათ და მათი გაკეთებულ-გაუკეთებელი ისე შევაფასოთ, როგორც ჩვენ დავინახეთ...

დავიწყოთ მეკარით. **ნუკრი რევიშვილს** ნერვიულობა თავიდანვე ეტყობოდა. რატომ, ვერ გეტყვით. ასაკის მიუხედავად, მას მთლად გამოუცდელიც არ ეთქმის. მან მატჩის დასაწყისშივე ერთი-ორჯერ უკან დაგორებული ბურთი ისე მოიგერია და ერთხელაც ჩაწოდებულის დასაჭერად კარიდან ისე გამოვიდა, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულს არ ჰგავდა. ლატვიელთა პირველი ორი გოლისას მას ვერ ვუსაყვედურებთ, აი, მესამე კი... ნაბიჯით უკან რომ ყოფილიყო, ასტაფიევსს იმ ლამაზ გოლს არ გაატანინებდა.

ლაშა სალუქვაძისგან მწვრთნელები ალბათ რასაც ითხოვენ, იმას ასრულებს. „რუბინის“ ამ ფლანგელი მცველისგან შეტევის გამწვავებას არავინ ითხოვს, თავისი ზონა უნდა დაკეტოს და მაღალი ბურთებისთვის ბრძოლა მოიგოს. მცირე უზუსტობები მას ჰქონდა, მაგრამ მეორე ტაიმში გუნდი ისეთ უეჭველ გოლს გადაარჩინა, ნაკლი რომ პლუსით გადასწონა.

კახა კალაძე გუშინწინდელ შემადგენლობაში ერთადერთი იყო, ვინც თავის გუნდში სტაბილურად თამაშობს. ერთი-ორი წმინდა ტექნიკური შეცდომა მასაც ჰქონდა, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ მოედანზე ლიდერი იყო. თუ გახსოვთ, მეორე ტაიმში მან ლატვიელთა უსწრაფეს მარის ვერპაკოვსკისს ბარე ორმეტრიანი ჩამორჩენის მიუხედავად სწორედ სისწრაფეში აჯობა და საჯარიმოსთან მიახლოებულ სტუმარს ბურთიც გადამწყვეტ მომენტში დაატოვებინა. სხვათა შორის, გუშინწინ კალაძემ პირველი სანაკრებო გოლი გაიტანა.

მალხაზ ასათიანი რომ უნივერსალი და ჩვენი ნაკრებისთვის ჰაერივით საჭიროა, ვფიქრობთ, ამას ბევრი ლაპარაკი არც სჭირდება. მან ლატვიელებს რამდენჯერმე ისეთი შეტევა ჩაუშალა, ბევრი მცველი ვერ შეძლებდა. თუმცა ისიც აშკარა იყო, ასათიანი საუკეთესო სპორტულ ფორმაში ჯერ არ არის. ისიც გაგვიკვირდა, ჩვენების სასარგებლო სტანდარტული მდგომარეობებისას ბოლო მცველად ის რატომ რჩებოდა. გეხსომებათ, ასათიანს კუთხურებიდან თუ საჯარიმოდან ჩაწოდებულების შემდეგ ხშირად გაუტანია. ამჯერად კი ცენტრის ხაზთან ვერპაკოვსკისს არ შორდებოდა. ეს ალბათ მწვრთნელის დავალება იყო.

ზაალ ელიავაც ვერ იყო ისეთი თავდაჯერებული, როგორიც აქამდე გვინახავს. ბოლო პერიოდში მან ორჯერ გაიკეთა მხრის ოპერაცია და უთამაშებლობა ძალიან ეტყობოდა. თანაც საკუთარი კარის სიახლოვეს ბურთს ზედმეტად აყოვნებდა ხოლმე. თუმცა ერთადერთი გოლი ჯარიმიდან სწორედ მის ჩაწოდებულს მოჰყვა.

ლევან მჭედლიძემ როგორც აქამდე, ფლანგზე ითამაშა და დავით სირაძის პირველი დამხმარე სწორედ ის უნდა ყოფილიყო. მან ბურთი რამდენჯერმე „დაიჭირა“, პარტნიორებსაც კარგად გაეხსნა, ერთი-ორი ფინტით სტუმრები ხახამშრალი დატოვა, მაგრამ ისეთი ეფექტურიც ვერ იყო, როგორსაც ველოდით. თანაც პირველი ტაიმის ბოლოს დაშავდა და შეცვლა ითხოვა.

ჯაბა კანკავას გუშინწინ ალბათ ყველაზე მეტად ეტყობოდა უთამაშებლობის კვალი. ლატვიასთან მან, როგორც ყოველთვის, ბევრი იშრომა და იბრძოლა, მაგრამ ის კანკავა არ იყო, როგორსაც ვიცნობთ. პირველ ყოვლისა, ჯაბას ზუსტი პასები არ გამოსდიოდა, რითაც მეტოქე ხშირად სარგებლობდა. თანაც ასეთი პასები მოედნის შუა ნაწილში იყო და ლატვიელებიც შეტევას არ აყოვნებდნენ.

გიორგი ხიდეშელმა დებიუტანტის კვალობაზე ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა და თუ შეცდომები ჰქონდა, გამოუცდელობას უფრო დაბრალდება. მან ერთხელ ლატვიის კარში ძალიან სახიფათოდ დაარტყა, ერთხელაც პასის ნაცვლად საკუთარ ნახევარზე მეტოქის მოტყუება სცადა, არ გამოუვიდა და ნაკრებმა კინაღამ მეოთხე გოლი მიიღო.

გოგიტა გოგუა ნაკრებში თამაშს მოწყურებული იყო და მისი თავდადებაც, აბა, ვის გაუკვირდებოდა. ერთი ისაა, რომ ხშირად ეცემოდა ხოლმე — ხან მეტოქე ეუხეშებოდა, ხანაც უვარგისს მოედანზე ფეხს ვერ იკიდებდა. ბოლოს ისიც შესაცვლელი გახდა.

ლევან ყენია ნელ-ნელა ისე თამაშობს, ბურთის მიღებისთანავე ტრიბუნებს რომ აფორიაქებს. ბურთიანი ყენია მაყურებლის ოვაციას იწვევდა და ისიც ცდილობდა, მაქსიმალურად ეფექტურად და ლამაზად ეთამაშა. ერთ ეპიზოდში მან ისეთი პასი გააკეთა, ჩამოყალიბებული ვარსკვლავები რომ აკეთებენ, მეორედ კი მცველს ისეთი „აჭამა“, ლამის მოედანი დაატოვებინა. თუმც ესეცაა, ლატვიელები მას ხშირად ჯანით ჩაგრავდნენ, ლევანი ხომ ჯერ 17 წლისაა.

დავით სირაძისგანაც გუშინწინ უფრო მეტს ველოდით, თუმცა არ გაგვკვირვებია, რომ მთლად სასარგებლოც ვერ იყო. მას ლიტვასთან მატჩის შემდეგ დიდი ხანი არ უთამაშია. პრაქტიკა კი ძალიან ბევრს რომ ნიშნავს, სირაძის თამაშის გუშინწინდელი მაგალითიდანაც კარგად ჩანს.

სანდრო კობახიძე ლატვიასთან მატჩისას ყველაზე აქტიური იყო, მეორე ტაიმში ჩვენების თითქმის ყველა შეტევა მისგან იწყებოდა. თუმცა „დნიპროში“ ახლახან გადასული ეს ახალგაზრდა ფეხბურთელი თამაშს ისე ვერ ამწვავებდა, როგორც დავით კვირკველიას შეუძლია. სანდრო ნაკრებისთვის ახალი ფეხბურთელია და იმედი გვაქვს, მომავალში მეტოქეს უფრო თამამად შეუტევს.

შოთა გრიგალაშვილს და **ბექა გოცირიძეს** თავის გამოსაჩენად ბევრი დრო არ მისცემიათ, თუმცა ერთმაც და მეორემაც თამაშს, რაც შეეძლოთ, ის დაატყვეს. გრიგალაშვილმა ერთხელ სახიფათოდ ჩააწოდა და შემტევ მეტოქეს ბურთი ისე დაატოვებინა, ჩვენებმა იქით რომ წამოიწყეს კონტრიერში. ხოლო გოცირიძის უკომპლექსო თამაშის დამსახურებაა ის, რომ მატჩის ბოლოსკენ საქართველომ პენალტის უფლება მიიღო...

კლაუს ტოპმიოლერისგან კი გაგვკვირვებია, ყველა სათადარიგო რატომ არ ათამაშა. გასაგებია, რომ სათადარიგოთა სკამზე მას მხოლოდ მეკარე და ორი მცველი ჰყავდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ის გარკვეული ტაქტიკური გადაადგილებებით ჩარეულიყო თამაშში და შეცვლებით რაღაც შეეცვალა. მაგალითად, ის, რომ ასათიანი 0:3-ის შემდეგ დაცვის ხაზისთვის მოეშორებინა, წინ წაეწია, მის ადგილას კი იგივე ალექსანდრე კვახაძე დაეყენებინა. კვახაძე პრაქტიკას მიიღებდა და მწვრთნელს საქმეში დაენახვებოდა. ასათიანი კი, ვინ იცის, წინრას გააკეთებდა, მან ფეხბურთი ხომ გამთამაშებლად დაიწყო... მატჩი თუ ამხანაგური იყო, იქნებ გარკვეული ექსპერიმენტებიც გამართლებული ყოფილიყო...

ბოლოს ერთიც: მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ერთ-ერთი მატჩი საქართველოს ნაკრებს გაისად, 11 თებერვალს ირლანდიაში აქვს. გუშინწინ კი კარგად გამოჩნდა, ჩვენი ფეხბურთელები თებერვლის დასაწყისში როგორ ფორმაში არიან.

კოგა ინასარიძე

ვიტ ჯორჯიამ ბელარუსთან წაიგორაძიკა

თურქულ შეკრებაზე მყოფმა „ვიტ ჯორჯიამ“ ორჯერადი ვარჯიშების ფონზე პირველი საკონტროლო მატჩი გამართა მინსკის „ლოკომოტივთან“.

შეხვედრა ბელარუსებმა მოიგეს — 2:1.

„ვიტ ჯორჯიამ“ ერთადერთი გოლი 87-ე წუთზე გაიტანა, როდესაც 0:2-ს აგებდა — ჯაბა ლიპარტიას ჩაწოდება ლაშა ჯაფარიძემ ერთი შეხებით ცხრიანში გადაგზავნა. მანამდე კი ზაზა სახოკიამ და ვასილ ღუჭაშვილმა (ორჯერ) ასპროცენტიანი მომენტები გააფუჭეს.

„ვიტ ჯორჯიამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ბედიაშვილი, ბეჭვაია, ა. კვახაძე (კასრაძე 78), დ. ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე (ინჯგია 70), გ. დათუნაიშვილი (ვასაძე 75), კლიმიაშვილი (ჯანელიძე 75), გ. მელქაძე (კვალინიძე 66), ღუჭაშვილი (ბერიაშვილი 57), სახოკია (ლიპარტია 70).*

მორიგ მატჩს „ვიტ ჯორჯია“ 11 თებერვალს ბრესტის „დინამოსთან“ გამართავს.

ზიხეილ ჟორჟოლიანი

ლოკომოტივმა სპარტაკს სძლია

გუშინ „ლოკომოტივმა“ ტესტ-მატჩი გამართა ცხინვალის „სპარტაკთან“ და 2:1 იმარჯვა, მაგრამ გიორგი კიკნაძეს ავადმყოფობის გამო ნახევარი გუნდი აკლდა.

დედაქალაქელებმა გოლები მეორე ნახევარში გაიტანეს — გიორგი ალავერდაშვილმა დუბლი შეასრულა.

„ლოკომოტივმა“ ამ სასტარტო შემადგენლობით ითამაშა: *მგინეიშვილი, გ. კვახაძე, ლ. ჩაგელიშვილი, დ. ფოფხაძე, ქუხილავა, ბარბაქაძე, ტიკურიშვილი, ბერიძე, ალავერდაშვილი, დ. ჩაგელიშვილი, ბახტაძე.*

როგორც კიკნაძემ გვითხრა, გუნდს რუსთავის „ოლიმპის“ ნახევარმცველი თემურ ფარულავა შეემატა.

მორიგ მატჩს „ლოკომოტივი“ 12 თებერვალს თბილისის „დინამო 2“-თან გამართავს.

ნუკრი ლოლაძე

დილა სტურუას ელაპარაკება

საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრე ორ კვირაში განახლდება. მანამდე კი გუნდები შეძლებისდაგვარად ემზადებიან.

5 თებერვალს გორის „დილა“ ქობულეთში წავიდა შეკრებაზე და გუშინ ტესტ-მატჩიც გამართა პირველლიგელ ფოთის „კოლხეთთან“. ქართველებმა 3:0 იმარჯვეს.

გორელები მე-18 წუთზე ქრისტეფორე შატაკიშვილმა დააწინაურა. მეორე ნახევარში ახალწვეულმა გიორგი მიქაძემ პენალტი გაიტანა, მატჩის მიწურულს კი გიორგი გიორგობიანმა მესამეც მიიყოლა.

„დილამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *თ. ილურიძე, ბურჭულაძე, ბალიაშვილი, ბერიანიძე, ბალაშვილი, იმნაძე, ლაკაბიძე, ტლაშაძე, სულთანიშვილი, შატკიშვილი, გ. მიქაძე*

შეცვლაზე შევიდნენ: კეჩხუაშვილი, საყვარელიძე, ბურნაძე, რომელაშვილი, აბრამიშვილი, გიორგობიანი, ლომიძე, ვარდოსანიძე, იჩქითი, გ. წინამძღვრიშვილი.

დღეს ზურაბ ხორგუაშვილის გუნდი ხობის „კოლხეთს“ შეხვდება, 10 თებერვალს — ზუგდიდის „მგლებს“, 12-ში კი — ბოლნისის „სიონს“. ზღვისპირელ შეკრებას „დილა“ 14 თებერვალს დაასრულებს.

და ერთიც: როგორც შევიტყვეთ, გორული კლუბი მოლაპარაკებებს აწარმოებს მეკარე ზვიად სტურუასთან...

ნუკრი ლოლაძე

2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფი
ჩვენი მეტოქეები

თანაგუნდელები ფაბიო კვალიარელას გოლს ულოცავენ

გიხაროდეს, საქართველოვ, იტალია წოდებას იკლებს

იტალია 3:1 პორტუგალია

1:0 ტონი (45), 2:0 კანავარო (50), 2:1 კვარესმა (77), 3:1 კვალიარელა (78)
იტალია: ამელია, ოდო (კასეტი 81), კანავარო, ბარძალი (გამბერინი 53), ძამბროტა (გროსო 29), დე როსი (პეროტა 53), პალადინო (კვალიარელა 78), პირლო, ამბროზინი, დი ნატალე, ტონი (ბორიელო 72)
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
პორტუგალია: რიკარდუ, ბოსინგვა (რიბეირო 69), რ. კარვალიუ, ბ. ალვეში, კანეირა (პ. ფერეირა 46), პეტიტი (ფ. მეირა 46), მანიშე (მეირელეში 62), კვარესმა, დეკუ (ნანი 46), რონალდუ, მაკუკულა (უგო ალმეიდა 57)
მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი
მსაჯი: მასიმო კევერი (შვეიცარია)
30 500 მაყურებელი

„სასიხარულოა, რომ ისეთი ძლიერი გუნდი დავამარცხეთ, როგორიც პორტუგალიაა. მერე რა, რომ ეს ამხანაგური თამაში იყო. ჩვენი ძალა დავამტკიცეთ და სკეპტიკოსებს სალაპარაკო დავუკარგეთ“ — თქვა ნამატჩევს იტალიელთა თავკაცმა რობერტო დონადონიმ და მართალიც არის.

ციურიხში გუნდებმა ევრო 2008-ის სტადიონი „დააჭაშნიკეს“. მატჩის პირველ ნახევარში იტალიელები საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ და მომენტებიც მეტოქეზე მრავლად შექმნეს. გულხელდაკრეფილნი არც პორტუგალიელები ყოფილან, მაგრამ ჯიჯი ბუფონის შემცვლელ მარკო ამელიას ვერაფერი მოუხერხეს.

პორტუგალიელებმა ამელიას მეორე ტაიმში კი გაუტანეს, მაგრამ „ლივორნოს“ მეკარეს გაშვებული ბურთში არანაირი ბრალი არ მიუძღვის — კვარესმამ შკიდიოდე მეტრიდან „დახვრიტა“ იტალიელი — ამ დროს „სკუადრა აძურა“ 2:0-ს იგებდა.

პირველი გოლი პირველი ტაიმის მიწურულს გავიდა — ფაბიო გროსოს ფლანგურ ჩაწოდებას ლუკა ტონი იქ დახვდა, სადაც საჭირო იყო — 1:0.

მანამდე იმავ ტონიმ, რაფაელე პალადინომ და ანტონიო დი ნატალემ ხელსაყრელი მომენტები გააცუდეს, ანდრეა პირლომ კი გაიტანა, მაგრამ მსაჯმა დაინახა, რომ მანამდე ხელით ითამაშა და გატანილი გაუუქმა.

და მაინც, პირლომ თავისი გააკეთა — მეორე ტაიმი ხუთი წუთის დაწყებული იყო, საჯარიმოს გარედან ჩვეულად რომ დაჰკრა, ბურთი გზად პორტუგალიელსაც მოხვდა და ფაბიო კანავაროსაც. გოლი „რეალის“ მცველს ჩაწერა — 2:0.

მერე იყო პალადინოს გაცუდებული მომენტი და ზემოთ ნახსენები კვარესმას გოლი, მაგრამ იტალიელებმა მეტოქეს მატჩში ინტრიგის შეტანა არ აცალეს, გაშვებული გოლიდან ერთ წუთში, შეცვლაზე შესულმა „უდინეზეს“ თავდამსხმელმა ფაბიო კვალიარელამ პირველივე შეხებით რიკარდუს მესამედ გამოატანინა კარიდან.

საერთოდ, იტალიამ დახვეწილი, დალაგებული ფეხბურთი ითამაშა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მომავალ ევროპის ჩემპიონატზე ფავორიტთა შორის იქნება.

ევროჩემპიონატზე ფავორიტთაგან ჩამოწერა ამხანაგურ მატჩში საქართველოს ნაკრების მეტოქე პორტუგალიაზეც ნაადრევი იქნება. მართალია, ლუიშ ფელიპე სკოლარის ბიჭები „აძურისთან“ მატჩში იშტაზე არ იყვნენ, მაგრამ შიგადაშიგ მწარედ „იკბინებოდნენ“. ერთია, კრიშტიანუ რონალდუ იტალიელებმა საიმედოდ ამოკეტეს და პორტუგალიელმა ხიფათი მხოლოდ საჯარიმო დარტყმით შექმნა — ამელია შეუვალი იყო.

მართალია, ნამატჩევს დონადონი ხარობდა, მაგრამ შეგირდებს ცოტა უსაყვედურა კიდეც...

„მართალია, გუნდმა კარგად ითამაშა, მაგრამ ბოლოსკენ მოეშვა. რატომ, ჩემთვის გაურკვეველია. ძალიან მომთხოვნი ვარ და ვიმუშავებთ, რათა ასეთი რამ არ განმეორდეს“ — განაცხადა დონადონიმ.

იტალიელმა მცველ ფაბიო კანავაროს კი ევროპის ჩემპიონატის მოგება ამოუჭრია გულში: „ამხანაგურ მატჩებს სერიოზულად ვეკიდებით. ჩვენს ნაკრებს ბოლო წლებში აშკარად ეტყობა პროგრესი და გუნდში ახალი სახეების გამოჩენაც არ უშლის ხელს. ახლა მთავარია, დავივიწყოთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონები ვართ და სასურველი იქნება, თუ ფრანგთა გმირობას გავიმეორებთ — მსოფლიოს შემდეგ ევროპის ჩემპიონებიც გავხდებით“.

მიხეილ ჟორჟოლიანი

მარკოვს მარილი არ მოეწონა

ჩრდ. ირლანდია 0:1 ბულგარეთი

0:1 ევანსი (38ს.კ.)
ჩრდ. ირლანდია: ტეილორი (მანუსი 83), მაკაული, მაკკარტნი (ბაირდი 46), ჰიუზი, ევანსი (კრეიგანი 46), კლინგანი, გილესპი (ტომპსონი 78), ჯონსონი (დევისი 46), ჰილი, ლაფერტი (პატერსონი 60), ბრანტი
მწვრთნელი: ნაიჯელ უორზინგტონი
ბულგარეთი: პეტკოვი (ივანკოვი 46), ანგელოვი, ვენკოვი (ზანევი 73), ტუნჩევი (კარასლავოვი 66), ტომაშიჩი, მილანოვი, მ. პეტროვი, იანჩენი (დიმიტროვი 46), გეორგიევი, ბერბატოვი (დომოვჩისკი 82), ლაზაროვი (პოპოვი 66)
მწვრთნელი: დიმიტარ პენევი
გაფრთხილება: პატერსონი, ზანევი
მსაჯი: დუგლას მაკდონალდი (შოტლანდია)
11 000 მაყურებელი

პირველი ტაიმის მიწურულს „მანჩესტერ სიტის“ ფეხმარდმა მარტინ პეტროვმა შორიდან დააქუხა. ბურთი ალბათ აუტისკენ გადადიოდდა, მაგრამ ჩრდილოირლანდიელმა მარკ ევანსმა გეზი საკუთარი კარისკენ უცვალა. ასე გავიდა ერთადერთი გოლი ბელფასტში, სადაც 26 მარტს ბულგარეთის ნაკრების მომავალი თანაჯგუფელი, საქართველოც ჩავა.

„ოპტიმისტური დასაწყისია. ჩრდილოეთ ირლანდიასთან სტუმრად მოგება ადვილი არ არის. ერთადერთი, რამაც არ დამაკმაყოფილა, თავდამსხმელთა სუსტი თამაში იყო. შეტევაში მეტი მარილია საჭირო. რაც მთავარია, ჩემმა გუნდმა კომბინაციური ფეხბურთი ითამაშა, სიტუაციას ჩვენ ვაკონტროლებდით“ — თქვა ბულგარეთის ნაკრების თავკაცმა პლამენ მარკოვმა.

სლავებსაც და „ოლსტერელებსაც“ წინა ციკლში ცოტა დააკლდათ სენსაციამდე. ეს უფრო ბრიტანელებზე ითქმის, რომლებმაც ჯგუფში დანიას გადაასწრეს და ესპანეთ-შვედეთს ვერ მოერივნენ. ამიტომაც იყო, მარკოვმა რომ მოგება ასე დააფასა.

რაღაცნაირად ჩახუთული თამაში იყო და მომენტებიც ხშირად არ იქმნებოდა. ბულგარელთა ჯილა დიმიტარ ბერბატოვი ვერ იყო იშტაზე, სულ ორჯერ დაარტყა კარისკენ. არადა, პასები მეტწილად მისკენ მიდიოდა.

ბურთს უმეტესად პლამენ მარკოვის გუნდი ფლობდა. „ოლსტერელები“ კი იმას თამაშობდნენ, რაც ყველაზე კარგად იციან — ფლანგზე გაქცევა და ჩაწოდებები. ეს ვერ ეყოთ გოლის გასატანად, მაგრამ 26 მარტს აუცილებლად ეყოფათ — თუ, რა თქმა უნდა, ისეთივე საქართველოს ნაკრები ესტუმრებათ, როგორიც გუშინწინ ლატვიას დაუხვდა.

ილია ნანოგაშვილი

თავს ზემოთ ძალა — რობინიო

ირლანდია 0:1 ბრაზილია

0:1 რობინიო (67)
ირლანდია: გივენი, კელი, დანი, ოში, კილბეინი, მაკგიდი, მილერი (პოტერი 46), კარსლი, დაფი, კინი, დოილი (ჰანტი 72)
მწვრთნელი: დონ გივენსი
ბრაზილია: ჟულიო სეზარი, ლეონარდო მურა, ალექსი, ჟ. ბაპტისტა, ლუიზაო, ჟოსუე (ლუკასი 83), ჯილბერტო სილვა, რიჩარლისონი, დიეგო (ანდერსონი 78), რობინიო, ლუიშ ფაბიანო (სობისი 84)
მწვრთნელი: კარლოს დუნგა
გაფრთხილება: კელი
მსაჯი: რენე როგალა (შვეიცარია)
30 000 მაყურებელი

მუნდიალ-2010-ის მერვე შესარჩევი ჯგუფის ნაკრებთანაგან ოთხშაბათს მხოლოდ ჩრნოგორიას არ უთამაშია, დანარჩენი ხუთი გუნდიდან კი მხოლოდ ორმა წააგო — ირლანდიამ და საქართველომ.

ირლანდიის ნაკრები კლავაც ირლანდიელი მაინ რიდის „უთავო მხედარივითაა“, უფრო სწორად, დროებითი მწვრთნელი ჰყავს — დონ გივენსი. ჯერ დალაგებულ-გაწვრთნილი „კელტები“ რა შესადარებელია ბრაზილიასთან და ახლა ასეთი...

ბრაზილია დუბლინში რონალდინიო-კაკა-პატოს გარეშე ჩავიდა, მასპინძლებს კი ოდენ ნახევარმცველი ენდი რიდი აკლდათ. სამაგიეროდ, ერთწლიანი შესვენების შემდეგ ნაკრების „მწვანე“ მაისურა პირველად მოირგო ინგლისური „ნიუკასლის“ დემიენ დაფმა. სწორედ დაფმა და კაპიტანმა რობი კინმა გაუშვეს ურეალურესი შანსები, კარლოს დუნგას გუნდს კი რობინიოს კლას-გოლმა მოაგებინა.

67-ე წუთი იყო, „რეალის“ ვარსკვლავმა მოჭრილი დარტყმით რომ შესვა შეი გივენის კარში — სანამ გივენი თვალებს დააჭყეტდა, მანამდე ბურთმა ლი კარსლის ფეხებშუა გაიარა. მომგებიანი გოლი ლუიშ ფაბიანოსა და დიეგოს დაწყებული კომბინაციით გავიდა.

გივენმა ეს გაუშვა, მაგრამ გერმანული „ვოლფსბურგის“ ჟოსუესა და იგივე დიეგოს აუღო მკვდარი ბურთები.

„კელტებს“ კლასი და ფანტაზია არ ჰყოფნიდათ, თორემ ბრაზილიას თითქმის ტოლ-სწორად ეთამაშნენ, საწყის 20 წუთში კი სულაც უპირატესობას ფლობდნენ.

ილია ნანოგაშვილი

კვიპროსი გაშვებულმა გოლმა გადაკარგა

კვიპროსი 1:1 უკრაინა

1:0 ალონეფტისი (193), 1:1 მილევსკი (71)
კვიპროსი: გეორგალიდესი, ხარალამბუსი, ოკარიდისი (ლამბრუ 46), ალონეფტისი (ალეკუ 80), კრისისი (გარპოცისი 46), მარინოსი, საციასი (მარანგოსი 67), მაკრიდესი (თეოდოტუ 60), იასუმი (გეორგიადისი 60), ხარალამბიდისი, პარასკევასი
მწვრთნელი: ანგელოს ანასტასიადი
უკრაინა: შოვკოვსკი, კუჩერი, ტიმოშჩუკი, რუსოლი, როტანი (მილევსკი 46), გუსევი (გაი 60), შევჩუკი (ფიოდოროვი 75), დოპილკა (იეზერსკი 75), მიხალიკი (მანძიუკი 89), ნაზარენკო, ვორობეი (გლადკი 46)
მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო
გაფრთხილება: ხარალამბუსი
5 000 მაყურებელი



ჩვენმა ჯგუფელმა კვიპროსმა უკრაინის ნაკრებს უმასპინძლა და 1:1 ეთამაშა.

კვიპროსელებმა პირველი სახიფათო მომენტი მე-9 წუთზე შექმნეს — იასემის იასუმმა მარცხნიდან ჩააწოდა, ყველას მაკრიდესმა დაასწრო — მისი დარტყმული შოვკოვსკიმ მოიგერია, მაგრამ ბურთი ცარიელ კართან მდგომ ხარალამბიდისს მიუვიდა, თუმც მან მოახერხა და, ვერ გაიტანა — ძელს გაარტყა.

მე-19 წუთზე ხარალამბიდისი საჯარიმოში კუჩერმა მოცელა და პენალტი ალონეფტისმა უნაკლოდ დაარტყა — 1:0.

ამის შემდეგ უკრაინელები გამოფხიზლდნენ. ჯერ ტიმოშჩუკმა სცადა შორიდან გატანა, შერე ვერც ნაზარენკომ იხეირა.

მეორე ნახევრის 15 წუთი ისე მილია, აღსანიშნი აღარაფერი მომხდარა.

უკრაინელებს ორჯერ შეეძლოთ სტანდარტული მდგომარეობის გამოყენება, მაგრამ რუსოლმა და გლადკიმ თავურები გააცუდეს.

ალექსეი მიხაილიჩენკოს შეგირდებმა მაინც მოახერხეს გატანა. არტიომ მილევსკის არცთუ ძლიერად დარტყმულ ბურთს მეკარემ რატომღაც ვერაფერი მოუხერხა — 1:1.

სტუმრები მატჩის დასრულებამდე გააფთრებით უტევდნენ, თუმც გამარჯვების გოლი ვერა და ვერ გაიტანეს.

ნამატჩევს კვიპროსის ნაკრების მთავარი მწვრთნელი *ანგელოს ანასტასიადი* უკმაყოფილო გახლდათ: „ეს თამაშის ჩვენთვის კარგი გამოცდა იყო. თვალშისაცემია ის, რომ ჩვენი ფეხბურთელების უმრავლესობას ფიზიკური მომზადება აკლია. გაშვებულ გოლამდე ნორმალურად გამოვიყურებოდით, მერე კი კონცენტრაცია დავკარგეთ. სამწუხაროდ, შეთამაშების პრობლემა ისევ გვაქვს“.

ნუკრი ლოლაძე

ალენ ნკონგის კამერუნელთა ფინალში გამყვანი დარტყმა

ჯან ოჰენე ლომთა ჯანმა დაიპყრო

კამერუნი მეექვსე ფინალს ითამაშებს



MTN Africa Cup of Nations

GHANA 2008

ნახევარფინალი

განა 0:1 კამერუნი

0:1 ნკონგი (71)

განა: კინგსონი, ადო, პეინტსილი, სარპეი, ანანი, აიეუ (ბარუსო 86), დრამანი, ესიენი, აგოგო, მუნტარი, ოფუსუ აბეიე (ბაფური 61)

მწვრთნელი: კლოდ ლე რუა

კამერუნი: კამენი, ატუბა, ბიკეი, რ. სონგი, ემანა (ბინია 77), ჯერემი, მბია, ა. სონგი, ფობი (ნკონგი 62), იდრისუ (ეპალე 46), ეტოო

მწვრთნელი: ოტო პფისტერი

მსაჯი: აბდერრაჰიმ ელ არჟუნი (მაროკო)

გაფრთხილება: რ. სონგი

გაძევება: ბიკეი (90)

გუშინ საღამოს აკრას „ჯან ოჰენეს“ სტადიონზე დიდი დრამა გათამაშდა. განის დედაქალაქში უდიდესმა იმედგაცრუებამ დაისადგურა — ქვეყნის სიამაყემ, ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა საკუთარ კედლებში კამერუნელი „ლომები“ ვერ მოათვინიერა და ნუგეშად მესამე ადგილისთვის ბრძოლა დაიტოვა. ცხადია, მშობლიურ არენებზე მოასპარეზე „შავი ვარსკვლავებისგან“ განაში მხოლოდ ჩემპიონობას მოითხოვდნენ და თუ ტურნირზე ამ გუნდის მიერ ნაჩვენებ ფეხბურთსაც გავიხსენებთ, განელთა იმედები უსაფუძვლო ნამდვილად არ ყოფილა. მაგრამ საფეხბურთო ღმერთებმა სხვაგვარად განსაჯეს და შავი კონტინენტის საჩემპიონო მატჩის მონაწილედ კამერუნის ნაკრები აქციეს.

თამაში უაღრესად დაძაბული გამოდგა და ასეთ ვითარებაში მასპინძლები უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ. ფრანგი კლოდ ლე რუას შეგირდებმა მეტოქეს შექმნილი სახიფათო მომენტების რაოდენობითაც აჯობეს, მაგრამ საფეხბურთო მატჩს ის იგებს, ვინც გოლებს იტანს, ამის გაკეთება კი გუშინ „მოუთვინიერებელმა ლომებმა“ შეძლეს. ფინალისტის ვინაობა ერთადერთმა შედეგიანმა გასროლამ გამოავლინა, კერძოდ კი, შეცვლაზე შესული ალენ ნკონგის რეიდმა და აუღებელმა დარტყმამ. 71-ე წუთზე, „შავი ვარსკვლავების“ მორიგი შეტევის ჩაშლის შემდეგ ბურთს მოედნის ცენტრში მყოფმა ჟოელ ეპალემ მიიღო და დაუყოვნებლივ პარალელურად მოძრავ ნკონგს გადააწოდა, რომელმაც ასევე ერთი შეხებით ოდნავ ჩამორჩენილ სამუელ ეტოოს დაუტოვა, ბარსელონელმა სუპერფორვარდმა კი ბურთი წინ გაჭრილ ნკონგს დაუბრუნა, ვისაც დარტყმა უნაკლო გამოუვიდა. აი, ასე, ორიოდ წამში, თამაშის ხასიათიც შეიცვალა და შემდგომში — მისი ბედიც. შეტევით გართულ განელებს უაღრესად ცუდი სამსახური გაუწია დაცვის ბურჯის, ჯონ მენსას ტრავმამ...

დარჩენილი ოცი წუთი განელებმა გააფთრებულ იერიშებში გაატარეს, მაგრამ კარლოს კამენიმ და კამერუნელმა მცველებმა თავისი საქმე ხუთიანზე შეასრულეს. ხოლო როცა მაროკოელმა რეფერიმ ელ არჟუნმა დამატებითი 4 წუთი დანიშნა, კამენი თანაგუნდელ რიგობერ სონგს შეეჯახა, ვეტერანი მცველისთვის დახმარების აღმოსაჩენად გუნდის ექიმები მივიდნენ, ადგილისთვის ბრძოლა დაიტოვა. ცხადია, მშობლიურ არენებზე მოასპარეზე „შავი ვარსკვლავებისგან“ განაში მხოლოდ ჩემპიონობას მოითხოვდნენ და თუ ტურნირზე ამ გუნდის მიერ ნაჩვენებ ფეხბურთსაც გავიხსენებთ, განელთა იმედები უსაფუძვლო ნამდვილად არ ყოფილა. მაგრამ საფეხბურთო ღმერთებმა სხვაგვარად განსაჯეს და შავი კონტინენტის საჩემპიონო მატჩის მონაწილედ კამერუნის ნაკრები აქციეს.



სლავა გასპაროვი

ვერც იგებენ და არც ეშვებიან

მარკო მასწავლებელი: ისწავლე, სლავენ, ისწავლე!

ხორვატია 0:3 ჰოლანდია

0:1 ჰეიტინგა (9), 0:2 ჰუნტელაარი (36), 0:3 ვენეგორ ოფ ჰესელინკი (89)

ხორვატია: პლეტიკოშა, რ. კოვაჩი (კნეჟევიჩი 69), შიმიჩი (პრანიჩი 46), ჩორლუკა, შიმუნიჩი, ნ. კოვაჩი (ლეკო 70), მოდრიჩი, სრნა (ბაბიჩი 86), კრანჩარი (ოლიჩი 46), პეტრიჩი, ედუარდო (რაკიტიჩი 70)

მწვრთნელი: სლავენ ბილიჩი

ჰოლანდია: ვან დერ სარი, მელხიოტი (დე იონგი 71), ჰეიტინგა, მატიისენი, დე კლერი, დე ზეუვი, სნეიდერი (ვენეგორ ოფ ჰესელინკი 84), ვან ბრონკჰორსტი, ვან დერ ვაარტი, ბაბელი (აფელაი 55), ჰუნტელაარი (ემანუელსონი 75)

მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი

გაფრთხილება: ჩორლუკა, სრნა, რ. კოვაჩი, დე ზეუვი

მსაჯი: მუნის ფერნანდესი (ესპანეთი)

30 000 მაყურებელი

1991 წლის შემდეგ ხორვატებმა მეცხე მატჩი ითამაშეს სპლიტში და კვლავ ვერ მოიგეს. ნაკრებისთვის დანავსულ ქალაქს ამჯერად ჰოლანდია ესტუმრა და მასპინძლებს თარსიანი ტრადიცია გაუგრძელა.

ნოემბერში „უემბლიზე“ ინგლისის ნაკრების მძლეველ ხორვატებს ქომაგებმი, როგორც გმირებს, ისე შეხვდნენ. მწვრთნელი სლავენ ბილიჩი მატჩამდე იმედიანად იყო, აუცილებლად მოვიგებთ და ამ სტადიონიდან ჯადოს გავაძევებთო. მარკო ვან ბასტენმა უფრო დიდი ჯადო ჩაიყვანა — საუცხოოდ მოთამაშე გუნდი, რომელმაც მეტოქე ბავშვივით დაჩაგრა.

„თუკი ამ მატჩში რაიმე პოზიტიურის დანახვა შეიძლება, ალბათ იმის, რომ ჰოლანდიამ სარკეში ჩაგვახედა და მიგვახვედრა — არც ისე ძლიერნი ვართ, როგორც ინგლისთან გამარჯვების შემდეგ გვეგონა. უნდა ვიმუშაოთ, ვიმუშაოთ და ვიმუშაოთ, რათა ევროპის ჩემპიონატზე ასე არ შევრცხვეთ“ — განაცხადა „დორტმუნდის“ ლეგიონერმა რობერტ კოვაჩმა.

ახლა ხორვატთა სპლიტური მონაგარი შვიდი მარცხი და ორი ფრეა.

სლავენ ბილიჩი: „შეიძლება, გუნდში იყოს ერთი ზანტი ფეხბურთელი, მაგრამ დღეს ასეთები მრავლად იყვნენ. ძალიან მტკივნეული მარცხია, თუმც საპანიკოს ვერაფერს ვხედავ. ერთი წაგებით გუნდის კლასი არ დაეცემა. შეცდომებს გავაანალიზებთ, გამოვასწორებთ და კვლავ ისე ვითამაშებთ, როგორც გვეკადრება“.

ხორვატი ჟურნალისტის ზორან მილოსავლიევიჩის თქმით, ჰოლანდიამ ბურთი ისე ატარა თავის ჭკუაზე, როგორც 70-ანი წლების ბრწყინვალე ნაკრებმა. მასპინძლები ცდილობდნენ რაღაცის შექმნას, მაგრამ მეტოქე ერთი თავით მაღლა იდგა. უესლი სნეიდერის მიერ შესრულებულ საჯარიმოს ჯონი ჰეიტინგას თავური და გოლი მოჰყვა. დამხვდურთაგან ერთი მომენტი დარიო სრნას ჰქონდა, მაგრამ ახლოდან კარს ვერ დაუმიზნა. ტაიმის ბოლოს სხვაობა ჰუნტელაარმა გაზარდა, რომელმაც მარცხნიდან დე კლერის პასი შეირგო.

შესვენების შემდეგ სლავენ ბილიჩმა ოლიჩით და პრანიჩით სცადა საქმის გამოსწორება, მაგრამ ამაოდ. ბურთს კვლავ ჰოლანდიელები პატრონობდნენ და უესლი სნეიდერს ორჯერ შეეძლო გატანა, მასპინძელთაგან კი სრნას ვან დერ საარმა აუღო.

შეცვლაზე შესულმა ვენეგორ ოფ ჰესელინკმა იბრაჰიმ აფელაის პასით იხეირა და ხორვატ ქომაგებს მესამე გოლით გული დაუმძიმა.

„ვან ბასტენმა სლავენ ბილიჩს გაკვეთილი ჩაუტარა. ჰოლანდია ამ თამაშით ევროპის ჩემპიონატს მოიგებს“ — ასეთი იყო ზაგრებული „ვეჩერნიე ნოვოსტის“ შეფასება.

ვაჟა ხუციშვილი

ნასტვენი ჰიმნი და სამი გოლი პასუხად

ავსტრია 0:3 გერმანია

0:1 პიცლშპერგერი (53), 0:2 კლოზე (63), 0:3 გომესი (80)

ავსტრია: მანინგერი, პოგატეცი, შტრანცლი, პრიოდლი, ფუხსი, შტანდფესტი, აუფჰაუზერი (პრეგერი 69), ივანშიცი, ზაუმელი, ჰარნიკი (კინასტი 73), ლინცი (კავლაკი 82)

მწვრთნელი: იოზეფ ჰიკერსბერგერი

გერმანია: ლემანი, ვესტერმანი, მერტეზაკერი, მ. ფრიდრიხი (ჰილბერტი 74), ლამი, შნაიდერი (პოდოლსკი 59), ბალაკი (როლფესი 87), პიცლშპერგერი (ჯოუნსი 82), შვაინშტაიგერი, კურანი (გომესი 59), კლოზე

მწვრთნელი: იოახიმ ლიოვი

გაფრთხილება: ფრიდრიხი, აუფჰაუზერი, ლინცი, მერტეზაკერი, ბალაკი

მსაჯი: მასიმო დონდარინი (იტალია)

48 500 მაყურებელი

ლემანმა პოგატეცს ლამის ყბა ჩამოუღო

ავსტრიელმა ფანებმა ისე უსტვინეს გერმანიის ჰიმნს, რომ სტადიონის სპიკერმა გაავებულ გულშემატკივრებს მიკროფონით სთხოვა გაჩუმება.

ეს გუნდები ევროპის ჩემიონატზეც შეხვდებიან ერთმანეთს, რადგან ერთ ჯგუფში არიან, მანამდე კი რეპეტიცია გერმანიის სასარგებლოდ დასრულდა.

მასპინძლებმა ბევრი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ ბოლოს მიზანში ვერ ურტყამდნენ, ხოლო სტუმრებმა შესვენების შემდეგ სამი შეაგდეს და მსტვინავი ფანები ჩაჩუმეს.

პირველივე წუთზე კრისტიან ფუხსს მართებდა გატანა, თუმც სიზუსტე დააკლდა. 22-ეზე კი იენს ლემანმა მიჰქარა და კინაღამ გოლი „ყლაპა“. მეკარე კარიდან გამოვარდა მარტინ ჰარნიკის შესახვედრად, მაგრამ ფეხი უშნოდ მოარტყა ბურთს, რომელიც ლინცს მიუვიდა. ავსტრიელ ფორვარდს უპატრონო ბადეში უნდა შეეგდო და მერტეზაკერმა ბურთი კარის ხაზიდან გამოაძევა. მოგვიანებით ლემანმა შეცდომა საუცხოო ნახტომით გამოასწორა და ფუხსს არ გაატანინა.

ტაიმის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე ფუხსმა ფლანგიდან საჯარიმოში შეასრიალა ბურთი, როლანდ ლინცი კი ვერ მისწვდა. აღსანიშნავია, რომ გერმანელებს შესვენებამდე დასამახსოვრებელი არაფერი გაუკეთებიათ.

მეორე ნახევრის დასწყისში ისევ ავსტრიელები ყოჩაღობდნენ და ივანშიცის პასით შტანდფესტი კარგ პოზიციაზე აღმოჩნდა, თუმც ხეირიანად ვერ დარტყა. გერმანელებმა უყურეს მომენტების გამნიავებელ მასპინძლებს და კლასი აჩვენეს. თომას ჰიცლშპერგერმა საჯარიმოს გარედან დაჰკრა და მანამდე უქმად მყოფ ალექს მანინგერს ბურთი კარიდან გამოატანინა. წუთის შემდეგ ლინცმა კიდევ ერთხელ ჩააფლავა საგოლე ეპიზოდი, რასაც მალე ბალაკის პასი და კლოზეს ზუსტი დარტყმა მოჰყვა. შეცვლაზე შესულმა ლუკაშ პოდოლსკიმ და მარიო გომესმა მესამე გოლი შექმნეს — ბაიერნელის პასით შტუტგარტელმა გაიტანა.

„ცხადია, გულდაწყვეტილი ვარ, რადგან პირველ ტაიმში არაერთხელ უნდა გაგვეტანა — დაიჩივლა მასპინძელთა მწვრთნელმა იოზეფ ჰიკერსბერგერმა — არა უშავს, ეს კარგი ტესტი იყო და სასიხარულოა, რომ გულშემატკივრებმა, მარცხის მიუხედავად, ბოლომდე გვიქმაგეს. ევროპის ჩემპიონატზე მათი მხარდაჭერის გვეიმედება. ნაკრებს საქმე კარგად არ მისდის და მთელი ქვეყნის გვერდშიდგომა გვჭირდება“.

იოახიმ ლიოვი: „შედეგი კარგია, მაგრამ პირველი ტაიმის ძალინ უკმაყოფილო ვარ. დაცვაში თუ შეტევაში, ფეხბურთისმაგვარიც კი ვერ ვითამაშეთ. დინამიკა არ იყო და ყველა დაბნეული ჩანდა.“

ვაჟა ხუციშვილი

გოლები შეცვლაზე შევიდნენ
აქ კაპელოსაც გაუტანია

ინგლისი 2:1 შვეიცარია

1:0 ჯენასი (40), 1:1 დერდიოკი (58), 2:1 რაიტ-ფილიპსი (62)

ინგლისი: ჯეიმსი, ბრაუნი, ფერდინანდი, ა.ჯონსი, ე. კოული (ბრიჯი 73), ბენტლი, ჯენასი (რაიტ-ფილიპსი 57), ჯერარდი, ბერი (ჰარგრივსი 73), ჯ. კოული (კრაუჩი 57), რუნი (იანგი 87)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

შვეიცარია: ბენალიო, ლიხტშტაინერი (ბეჰრამი 46), ეგიმანი, სენდეროსი (გრიხტინგი 55), შპიხერი, ინლერი, ფ. ლსონი (ჰუგელი 84), ჟიგა (დერდიოკი 46), იაკინი (მარგაირასი 63), ბარნეტა, ნუფო (ფონლანტენი 46)

მწვრთნელი: იაკობ კუნი

მსაჯი: ფელიქს ბრიხი (გერმანია)

86 857 მაყურებელი

შვეიცარიამ ცოტა ანერვიულა ინგლისის ქომაგები და ახალი მწვრთნელი ფაბიო კაპელო, მაგრამ შონ რაიტ-ფილიპსმა იზრუნა იმაზე, რომ იტალიელის დებიუტი მარცხიანი არ გამოსულიყო.

იმ გუნდიდან, რომელმაც ნოემბერში ხორვატიასთან წააგო, კაპელომ ძირითად შემადგენლობაში სამი კაცი დატოვა — გარეთ ბერი, ჯო კოული და სტივან ჯერარდი, ვისაც კაპიტნის სამკლავური ანდო.

მასპინძლები თავიდან ზოზინობდნენ, შვეიცარია კი უფრო ყოჩაღობდა, რამაც კაპელო გააბრაზა — სკამიდან წამომხტარმა ბიჭები შეაფუცხუნა. მეექვსე წუთზე ტრანკილიო ბარნეტას დარტყმული დევიდ ჯეიმსმა მოიგერია, ხოლო საპასუხო შეტევისას ჯო კოულმა პასი რუნის გაუჭრა, ვისაც მეკარე ბენალიომ დაასწრო.

11221	ანჟე-ბულონი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11222	შატორუ-დიჟონი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11223	ლე ავრი-გრენობლი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11224	რეიმსი-გენიონი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11225	ამიენი-გენგამი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11226	კლერმანი-ლიბურნი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11227	ბრესტი-ნანტი	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11228	მონპელიე-ნიორი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11248	ტვენტე-ჰერაკლესი	1.65	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11249	ბრედა-უტრეხტი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11250	პსვ-ჰერენვენი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11251	გრაოფსხაპი-ფეიენოორდი	7.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.50
11253	ვიტესი-გრონინგენი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11254	სპარტა-ექსელსიორი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11255	ნაიმეგენი-ალკმაარი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11256	როდა-აიაქსი	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11258	ვენლო-ტილბურგი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11259	ვეენდამი-ომნივორლდი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11260	კამბური-ოსი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11261	ვოლენდამი-მაასტრიხტი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11262	დორდრეხტი-ეინდჰოვენი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11263	ჰელმონდი-აპელდორნი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11264	დენ ბოსხი-ვალვაიკი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11265	სიტარდი-ემენი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11266	დენ ჰაგი-ტელსტარი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11267	როზენდალი-ჰაარლემი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11268	ზვოლე-იგლზი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12015	საუთჰემპტონი-ქარ	1.60	2.00
12016	ბარნსლი-ვესტ ბრომვიჩი	1.90	1.70
12017	ვულვერჰემპტონი-სტოკი	1.60	2.00
12018	ბრისტოლი-უენსდი	1.70	1.90
12019	ბარნლი-კოლჩესტერი	1.70	1.90
12020	კარდიფი-ნორვიჩი	1.70	1.90
12021	ჩარლტონი-კრისტალ პალასი	1.60	2.00
12022	პალი-ბლეკპული	1.70	1.90
12023	იფსვიჩი-უოტფორდი	1.70	1.90
12024	ლესტერი-პლიმუთი	1.60	2.00
12025	პრესტონი-ქოვენთრი	1.60	2.00
12026	შეფილდი-სკანთორპი	1.70	1.90
12122	ბაიერნი-ვერდერი	2.00	1.60
12123	ლევერკუზენი-ჰამბურგი	1.80	1.80
12124	შტუტგარტი-ჰერტა	2.00	1.60
12125	აინტრახტი-არმინია	1.90	1.70
12126	ბოხუმი-კოტბუსი	1.90	1.70
12127	ჰანოვერი-კარლსრუე	1.90	1.70
12128	ნიურნბერგი-ჰანზა	1.90	1.70
12129	ვოლფსბურგი-დუისბურგი	1.90	1.70
12130	დორტმუნდი-შალკე	1.80	1.80
12131	ჰადერბორნი-ფრაიბურგი	1.80	1.80
12132	მაინცი-ფიურტი	1.90	1.70
12133	კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი 1860	1.80	1.80
12134	ალემანია-კიოლნი	2.00	1.60
12135	აუგსბურგი-კობლენცი	1.80	1.80
12136	ზტ.პაული-კარლ ცაისი	1.90	1.70
12137	აუე-ოფენბახი	1.80	1.80
12138	ოსნაბრიუკი-ვეენი	1.80	1.80
12139	ჰოფენჰაიმი-მაინხენგლადბახი	1.90	1.70
12219	ბასტია-ტრუა	1.50	2.10
12220	სედანი-აიაჩო	1.50	2.10
12221	ანჟე-ბულონი	1.60	2.00
12222	შატორუ-დიჟონი	1.50	2.10
12223	ლე ავრი-გრენობლი	1.60	2.00
12224	რეიმსი-გენიონი	1.60	2.00
12225	ამიენი-გენგამი	1.60	2.00
12226	კლერმანი-ლიბურნი	1.70	1.90
12227	ბრესტი-ნანტი	1.50	2.00
12228	მონპელიე-ნიორი	1.60	2.00
12248	ტვენტე-ჰერაკლესი	2.10	1.50
12249	ბრედა-უტრეხტი	2.00	1.60
12250	პსვ-ჰერენვენი	2.10	1.50
12251	გრაოფსხაპი-ფეიენოორდი	2.00	1.50
12253	ვიტესი-გრონინგენი	2.00	1.60
12254	სპარტა-ექსელსიორი	2.00	1.50
12255	ნაიმეგენი-ალკმაარი	2.00	1.60
12256	როდა-აიაქსი	2.10	1.50
12258	ვენლო-ტილბურგი	2.00	1.60
12259	ვეენდამი-ომნივორლდი	2.10	1.50
12260	კამბური-ოსი	2.10	1.50
12261	ვოლენდამი-მაასტრიხტი	2.10	1.50
12262	დორდრეხტი-ეინდჰოვენი	2.10	1.40
12263	ჰელმონდი-აპელდორნი	2.10	1.40
12264	დენ ბოსხი-ვალვაიკი	2.10	1.50
12265	სიტარდი-ემენი	2.10	1.50
12266	დენ ჰაგი-ტელსტარი	2.10	1.50
12267	როზენდალი-ჰაარლემი	2.10	1.50
12268	ზვოლე-იგლზი	2.10	1.40

ბაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13015	საუთჰემპტონი-ქარ	1.80	1.80
13016	ბარნსლი-ვესტ ბრომვიჩი	1.80	1.80
13017	ვულვერჰემპტონი-სტოკი	1.90	1.70
13018	ბრისტოლი-უენსდი	1.80	1.80
13019	ბარნლი-კოლჩესტერი	1.80	1.80
13020	კარდიფი-ნორვიჩი	1.80	1.80
13021	ჩარლტონი-კრისტალ პალასი	1.80	1.80
13022	პალი-ბლეკპული	1.80	1.80
13023	იფსვიჩი-უოტფორდი	1.80	1.80
13024	ლესტერი-პლიმუთი	1.90	1.70
13025	პრესტონი-ქოვენთრი	1.90	1.70
13026	შეფილდი-სკანთორპი	1.80	1.80
13122	ბაიერნი-ვერდერი	1.70	1.90
13123	ლევერკუზენი-ჰამბურგი	1.70	1.90
13124	შტუტგარტი-ჰერტა	1.70	1.90
13125	აინტრახტი-არმინია	1.70	1.90
13126	ბოხუმი-კოტბუსი	1.70	1.90
13127	ჰანოვერი-კარლსრუე	1.70	1.90
13128	ნიურნბერგი-ჰანზა	1.70	1.90
13129	ვოლფსბურგი-დუისბურგი	1.70	1.90
13130	დორტმუნდი-შალკე	1.70	1.90
13131	ჰადერბორნი-ფრაიბურგი	1.70	1.90
13132	მაინცი-ფიურტი	1.60	2.00
13133	კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი 1860	1.60	2.00
13134	ალემანია-კიოლნი	1.50	2.10
13135	აუგსბურგი-კობლენცი	1.70	1.90
13136	ზტ.პაული-კარლ ცაისი	1.60	2.00
13137	აუე-ოფენბახი	1.60	2.00
13138	ოსნაბრიუკი-ვეენი	1.60	2.00
13139	ჰოფენჰაიმი-მაინხენგლადბახი	1.60	2.00
13248	ტვენტე-ჰერაკლესი	1.60	2.00
13249	ბრედა-უტრეხტი	1.50	2.10
13250	პსვ-ჰერენვენი	1.40	2.10
13251	გრაოფსხაპი-ფეიენოორდი	1.50	2.10
13253	ვიტესი-გრონინგენი	1.50	2.10
13254	სპარტა-ექსელსიორი	1.50	2.10
13255	ნაიმეგენი-ალკმაარი	1.50	2.10
13256	როდა-აიაქსი	1.40	2.10
13258	ვენლო-ტილბურგი	1.60	2.00
13259	ვეენდამი-ომნივორლდი	1.40	2.10
13260	კამბური-ოსი	1.50	2.10
13261	ვოლენდამი-მაასტრიხტი	1.40	2.10
13262	დორდრეხტი-ეინდჰოვენი	1.40	2.10
13263	ჰელმონდი-აპელდორნი	1.40	2.10
13264	დენ ბოსხი-ვალვაიკი	1.40	2.10
13265	სიტარდი-ემენი	1.40	2.10
13266	დენ ჰაგი-ტელსტარი	1.50	2.10
13267	როზენდალი-ჰაარლემი	1.40	2.10
13268	ზვოლე-იგლზი	1.40	2.10

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესრულდ ჩაითვლება)

14015	საუთჰემპტონი-ქარ	1.75	2.10
14016	ბარნსლი-ვესტ ბრომვიჩი	2.10	1.75
14017	ვულვერჰემპტონი-სტოკი	1.75	2.10
14018	ბრისტოლი-უენსდი	1.65	2.30
14019	ბარნლი-კოლჩესტერი	1.45	2.40
14020	კარდიფი-ნორვიჩი	1.70	2.20
14021	ჩარლტონი-კრისტალ პალასი	1.80	2.00
14022	პალი-ბლეკპული	1.45	2.40
14023	იფსვიჩი-უოტფორდი	1.80	2.00
14024	ლესტერი-პლიმუთი	1.80	2.00
14025	პრესტონი-ქოვენთრი	1.75	2.10
14026	შეფილდი-სკანთორპი	1.45	2.40
14122	ბაიერნი-ვერდერი	1.45	2.40
14123	ლევერკუზენი-ჰამბურგი	1.80	2.00
14124	შტუტგარტი-ჰერტა	1.45	2.40
14125	აინტრახტი-არმინია	1.45	2.40
14126	ბოხუმი-კოტბუსი	1.65	2.30
14127	ჰანოვერი-კარლსრუე	1.70	2.20
14128	ნიურნბერგი-ჰანზა	1.45	2.40
14129	ვოლფსბურგი-დუისბურგი	1.30	2.50
14130	დორტმუნდი-შალკე	1.95	1.85
14131	ჰადერბორნი-ფრაიბურგი	2.10	1.75
14132	მაინცი-ფიურტი	1.65	2.30
14133	კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი 1860	1.80	2.00
14134	ალემანია-კიოლნი	1.85	1.95
14135	აუგსბურგი-კობლენცი	1.65	2.30
14136	ზტ.პაული-კარლ ცაისი	1.65	2.30
14137	აუე-ოფენბახი	1.70	2.20
14138	ოსნაბრიუკი-ვეენი	1.75	2.10
14139	ჰოფენჰაიმი-მაინხენგლადბახი	1.95	1.85
14219	ბასტია-ტრუა	1.80	2.00
14220	სედანი-აიაჩო	1.75	2.10
14221	ანჟე-ბულონი	1.70	2.20
14222	შატორუ-დიჟონი	1.80	2.00
14223	ლე ავრი-გრენობლი	1.65	2.30
14224	რეიმსი-გენიონი	1.45	2.40
14225	ამიენი-გენგამი	1.85	1.95
14226	კლერმანი-ლიბურნი	1.30	2.50
14227	ბრესტი-ნანტი	2.00	1.80
14228	მონპელიე-ნიორი	1.45	2.40
14249	ბრედა-უტრეხტი	1.75	2.10
14250	პსვ-ჰერენვენი	1.30	2.50
14251	გრაოფსხაპი-ფეიენოორდი	2.40	1.45
14253	ვიტესი-გრონინგენი	1.85	1.95
14254	სპარტა-ექსელსიორი	1.45	2.40
14255	ნაიმეგენი-ალკმაარი	2.00	1.80
14256	როდა-აიაქსი	2.20	1.70
14258	ვენლო-ტილბურგი	1.85	1.95
14259	ვეენდამი-ომნივორლდი	1.45	2.40
14260	კამბური-ოსი	1.85	1.95
14261	ვოლენდამი-მაასტრიხტი	1.70	2.20
14262	დორდრეხტი-ეინდჰოვენი	1.20	2.60
14263	ჰელმონდი-აპელდორნი	1.30	2.50
14264	დენ ბოსხი-ვალვაიკი	1.95	1.85
14265	სიტარდი-ემენი	1.85	1.95
14266	დენ ჰაგი-ტელსტარი	1.45	2.40
14267	როზენდალი-ჰაარლემი	1.20	2.60
14268	ზვოლე-იგლზი	1.70	2.20

დევისის თასი. მერვედფინალი. 8-10 თებერვალი

სერბეთი ერთი ჯოკოვიჩია

რუსეთი : სერბეთი
ჩეხეთი : ბელგია
არგენტინა : დიდი ბრიტანეთი
ისრაელი : შვედეთი
გერმანია : სამხრეთ კორეა
პერუ : ესპანეთი
რუმინეთი : საფრანგეთი
ავსტრია : აშშ

ნოვაკ ჯოკოვიჩი

დღეს დაიწყება და მთელ უქმეებს გასტანს 2008 წლის დევისის თასის გათამაშების პირველი წრე. ქალთაგან განსხვავებით, კაცები უმთავრესი სანაკრებო ტიტულისკენ სვლას მერვედფინალებიდან იწყებენ და ამიტომაც, მსოფლიოს რვა ქვეყანაში ძალიან საინტერესო ჯახებს ელიან.

ფედერაციის თასმა დაგვანახა, რომ წინასწარ რომელიმე წყვილში ფავორიტის დასახელება მთლიანობაში სრული უაზრობაა — აქ ყველა ბოლომდე იბრძვის და ძალიან ხშირად მნიშვნელობა ეკარგება მეტოქეთა კლასს შორის სხვაობას. ამის მიუხედავად, ვეცდებით, ყველაზე საინტერესო წყვილები მიმოვიხილოთ და დღესითვის არსებულ ძალთა განლაგებას გადავხედოთ.

ყველაზე დიდ ინტერესს უდავოდ სლავური დერბი იწვევს, რომელშიც შარშანდელი ფინალისტი რუსები სერბებს უმასპინძლებენ. თუნდაც ერთი-ორი წლის წინ ბალკანელების შანსებზე ალბათ კრინტსაც არავინ დაძრავდა, მაგრამ ახლა საქმე სულ სხვანაირადაა — სერბებს ხომ 2008 წლის ჯერჯერობით უმთავრესი გმირი, ორიოდ კვირის წინ ავსტრალიის ღია პირველობის მომგები ნოვაკ ჯოკოვიჩი ჰყავთ, რომელმაც, ბევრის აზრით, ნაკრების მარტო თრევაც უნდა მოახერხოს. მასპინძლებს გაცილებით სტაბილური შემადგენლობა კი ჰყავთ, მაგრამ ჯოკოვიჩის ფაქტორი სიტუაციას მაინც ათასნაირ ფერებს და ამიტომ მეტოქეთა შანსები 50-50-ზეა. ერთი ეგაა, რომ ბალკანელები მართლაც მხოლოდ ნოვაკის იმედზე დარჩნენ, რადგანაც უდროოდ გახდა ცუდად სერბთა მეორე ნომერი იანკო ტიპსარევიჩი, რომლის ადგილს ახლა გამოუცდელი ვიქტორ ტროიცკი დაიკავებს.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, აქ ძალიან საინტერესო ჯახი უნდა გაიმართოს და თუ კვირა დღისთვის ჯოკოვიჩი ძალიან არ გადაიღალა, მაშინ სერბებს მცირე სენსაციის მოხდენის იმედიც აქვთ.

უკეთესად აქვთ საქმე დევისის თასის მოქმედ ჩემპიონ ამერიკელებს, რომლებიც ალპებში ავსტრიელებს გაეჯიბრებიან. იანკთა კაპიტან პატრიკ მაკინროის გაცილებით ძლიერი მეჩოგნეები კი ჰყავს, მაგრამ ის ანერვიულებს, რომ მასპინძლებმა თიხნარზე თამაში არჩიეს და ეს მათ მცირე უპირატესობას მისცემს — საქვეყნოდ ცნობილია, რომ ამ საფარზე არც ენდი როდიკი უქნია ღმერთს და არც ჯეიმს ბლეიკი. ასე რომ, ამერიკელებს სანერვიულო მაინც ექნებათ.

სანაკრებო დებიუტისთვის ემზადება ავსტრალიის ღია პირველობის კიდევ ერთი გმირი ჟო-ვილფრედ ცონგა — ის საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში რუმინეთს სტუმრობს. მასპინძლები თავისი შეუპოვრობით კი არიან ცნობილი, მაგრამ ცონგამ და რიშარ გასკემ გალთა მეოთხედფინალში გაყვანა მაინც თავაუტკივებლად უნდა შეძლონ.

ურაფაელ ნადალოდ სტუმრობენ პერუს ესპანელები, მაგრამ ამის მიუხედავად, ევროპელთა გამარჯვებაში ეჭვი მაინც არავის ეპარება. მასპინძლებს მხოლოდ ერთი, მეტნაკლებად მაღალი დონის მეჩოგნე ჰყავთ ლუის ჰორნას სახით, მაშინ, როცა ესპანელებს მდიდარი არჩევანი გააჩნიათ ტომი რობრედოს, ფერნანდო ვერდასკოს, ფელიჩიანო ლოპესსა და ნიკოლას ალმაგროს შორის.

დაბოლოს, ყველაზე მეტი ემოციები არგენტინა — დიდი ბრიტანეთის შეხვედრაშია მოსალოდნელი. თუმც ამ ყველაფრის თავი და თავი ორ ქვეყანას შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობაა, თორემ წმინდა საჩოგბურთო თვალსაზრისით მასპინძლებს გამარჯვების გაცილებით მეტი შანსი აქვთ, მით უმეტეს, რომ სტუმრების ერთადერთი იმედი ენდი მიურეი რავმის გამო ვერ ითამაშებს. პატაგონიელებს კი წესით, არც ტრავმირებული ხუან მონაკოს არყოფნა უნდა დაეტყოთ.

თუმც ვნახოთ, ყველაფერი კვირას გამოჩნდება.

ქახა ლომაჯვილი

დანიელა ჰანტუხოვა

პარიზში წყალს არ ამღვრევენ

ქალები
პარიზი. საფრანგეთი
ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 600 000 დოლარი

მეორე წრე

ანა ჩაკვეტაძე (1, რუსეთი) — **ნატალი დეში** (საფრანგეთი) 6:1 6:3; **ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — **პეტრა კვიტოვა** (ჩეხეთი) 7:6 6:2; **აგნეს სჩავაი** (7, უნგრეთი) — **ტატიანა გარბინი** (იტალია) 6:3 4:6 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — **კატარინა სრებოტნიკი** (სლოვენია) 6:4 6:3

პარიზში პირველი მეოთხედფინალისტების ვინაობა გაირკვა, თანაც ისე გამოვიდა, რომ ყველა განთესილი აღმოჩნდა — რანგით მაღლა მდგომმა მეჩოგნეებმა თავიანთი სტატუსი სრულიად გაამართლეს და ნაკლებჩინიან მეტოქეებს გაუმკლავდნენ.

დამაჯერებლად იხეირა ელენა დემენტიევამ, რომელიც 17 წლის პეტრა კვიტოვას მოერია. პირველ წრეში ანაბელ მედინა-გარიგესის წამქცევმა, კვალიფიკაციიდან წამოსულმა თინეიჯერმა ჩეხმა რუსთანაც მშვენივრად დაიწყო და პირველ სეტში გოჯიც არ დათმო. ამის ლოგიკური დასასრული ტაიბრეიკი იყო, რომელშიც დემენტიევას გამოცდილება გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა და რუსიც დაწინაურდა. მეორე პარტიაში კი კვიტოვამ უკვე ვეღარ გაუძლო მეტოქის ტემპს და თეთრი დროშა გამოფინა.

„ვიცოდი, რომ ძნელი შეხვედრა იქნებოდა. მან აქ უკვე 4 მატჩი ჩაატარა და ფორმაშიც იყო, მაშინ როცა მე ავსტრალიის შემდეგ პრაქტიკა არ მქონია. ამიტომ თავიდან ცოტა შეზღუდულად ვთამაშობდი, თუმც თანდათან მოვუმატე, რაც შედეგზეც აისახა. მეტოქეზე კი მხოლოდ კომპლიმენტების თქმა შემიძლია — მისი ასაკისთვის ძალიან დამაჯერებლად ჩოგნაობს“ — განაცხადა ნამატჩევს დემენტიევამ.

აი, აგნეს სჩავაისა და ტატიანა გარბინის შეხვედრაში კი თინეიჯერმა იმარჯვა — საკმაოდ გაწელილ მატჩში უნგრელმა გამოცდილი, მაგრამ ასაკიანი მეტოქის გადაღლილობით ისარგებლა და გადამწყვეტ პარტიაში ბეჭებზე გააკრა.

წარმატებით დაიწყეს ტურნირი პირველ-მეორე ნომრებმა, თუმც თუ ანა ჩაკვეტაძემ იოლად იმარჯვა, დანიელა ჰანტუხოვას გვარიანი ოფლის ღვრა მოუწია. სლოვაკმა ლამაზმანმა თავიდან სერიოზული უპირატესობა კი მოიპოვა, მაგრამ როგორც ხშირად ხდება ხოლმე, სულელური შეცდომებს უმატა და საქმე გვარიანადაც გაირთულა. საქმე მესამე სეტამდე მივიდა, სადაც დანიელამ ისევ მოუმატა და კატარინა სრებოტნიკი მაინც წააქცია.

ქალები
პატაია. ტაილანდი
ჰარდი
საპრიზო 170 000 დოლარი

მეორე წრე

აგნეშკა რადვანსკა (1, პოლონეთი) — **ენ კრემერი** (ლუქსემბურგი) 7:5 7:6; **იუნ-იან ჩენი** (4, ტაივანი) — **ლილია ოსტერლოჰი** (აშშ) 6:4 6:2; **ანდრეა კლეპაჩი** (სლოვენია) — **კეისი დელაკუა** (ავსტრალია) 7:5 2:6 6:2; **ტამარინ ტანასუგარნი** (ტაილანდი) — **ოლგა პუჩკოვა** (რუსეთი) 4:6 6:4 6:4; **ეკატერინა ბიჩკოვა** (რუსეთი) — **სუნიტა რაო** (ინდოეთი) 6:4 6:4; **აკგულ ამანმურადოვა** (უზბეკეთი) — **ციპორა ობზილერი** (9, ისრაელი) 6:4 6:2; **ჯილ კრეიბასი** (აშშ) — **რენატა ვორაცოვა** (ჩეხეთი) 2:6 6:1 6:3; **ვესნა მანასიევა** (რუსეთი) — **ანგელიკ კერბერი** (3, გერმანია) 6:2 6:1

პარიზისგან განსხვავებით, ტაილანდურ პატაიაში გუშინ განთესილებს საკმაოდ ცუდი დღე ჰქონდათ — აზიიდან დაიფრინეს მეორე და მესამე ნომრები, შესაბამისად, კეისი დელაკუა და ანგელიკ კერბერი. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ორივე თითქმის უცნობმა მეჩოგნეებმა დაჩაგრეს — დელაკუა სლოვენიელმა ანდრეა კლეპაჩმა გაამწარა, კერბერს კი თინეიჯერი რუსი ვესნა მანასიევა გაუმკლავდა.

სამაგიეროდ, იმარჯვა ტურნირის მთავარმა ფავორიტმა აგნეშკა რადვანსკამ. 18 წლის პოლონელს, რომელიც ავსტრალიის ღია პირველობაზე მეოთხედფინალამდე მივიდა, საკმაოდ კი გაუჭირდა ენ კრემერთან, მაგრამ ლუქსემბურგელი ორჯერვე სეტის მიწურულს გატეხა და მეოთხედფინალის საგზური მაინც გაინაღდა.

ადგილობრივებს ჯერჯერობით ახარებს ტამარინ ტანასუგარნი, რომელმაც რუსებს გაავრო მუსრი — პირველ წრეში მერვე ნომრად განთესილი ანასტასია როდიონოვა დასცა, ვისაც გუშინ ოლგა პუჩკოვაც მიაყოლა.

ქახა ლომაჯვილი

კლოზელმა ანას არა უთხრა

წაგებით დაიწყო წლევანდელი სეზონი ახალგაზრდა ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა, ვინც კარგა ხანია, ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და ლეგენდარული ჩოგბურთელის, კრის ევერტის აკადემიაში ვარჯიშობს.

მისურის შტატის ქალაქ მიდლენდის ჰარდზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მიმდინარე 75-ათასიანი ტურნირი ანასთვის პირველი იყო 2008 წელს. თავდაპირველი ვარაუდებით, ტატიშვილს შეჯიბრი საკვალიფიკაციო ეტაპიდან უნდა დაეწყო, მაგრამ ძირითადი ბადის მავანმა ჩოგბურთელმა, მიზეზთა გამო, თამაშზე უარი განაცხადა და კვალიფიკანტთა შორის უმაღლესი რეიტინგის მქონე ქართველი ძირითად ბადეში მოხვდა.

პირველ წრეში ანას მეტოქე გამოცდილი გერმანელი, 28 წლის სანდრა კლოზელი იყო, ვისაც WTA-ს მიმდინარე რეიტინგში 122-ე ადგილი უკავია. თამაში ცალკორტა გამოდგა. პირველ სეტში ტატიშვილმა, ასე თუ ისე, კიდევ გაუწია წინააღმდეგობა მეტოქეს, მეორეში კი გერმანელის უპირატესობა აშკარა იყო. კლოზელმა 6:4 6:2 მოიგო, ანასთვის კი სეზონის პირველი ტურნირი პირველივე მატჩში დასრულდა.

გზა აღმოსავლეთ ევროპისკენ

საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე 14-წლამდელმა ჩოგბურთელმა გოგო-ბიჭებმა პირველობისთვის და აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატის ერთი საგზურისთვის ბრძოლა დაიწყეს. ტურნირი, რომელსაც ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტები მასპინძლობს, 5 თებერვალს დაიწყო და ხვალ დასრულდება. გოგონებშიც და ბიჭებშიც თექვსმეტი რჩეული ჩოგბურთელი მონაწილეობს, რომლებიც რეიტინგის მიხედვით შეირჩნენ. ტურნირის ფორმატი შერეულია — ნახევარფინალებამდე ჩოგბურთელები ოლიმპიური სისტემით თამაშობენ, საუკეთესო ოთხეული კი საჩემპიონო ბრძოლას წრიული სისტემით გააგრძელებს.

ლეჟსო მაისურაძე

ჯონისთვის რომი ათასია

ჯონი უილკინსონმა ექვსი ერის მატჩში უელსელ ჯონათან ტომასს სახეში ხელი ჩაარტყა, რის გამოც ტომასი სასწრაფოდ შესაცვლელი შეიქნა. უილკინსონის საქციელი გასულ ოთხშაბათს სადისციპლინო კომიტეტმა განიხილა და დიდი ჭოჭმანის შემდეგ გადაწყდა, რომ ინგლისელი კვირას რომში იტალიის წინააღმდეგ იბურთავებს. ჯონისთვის დამდეგი ჯახი 66-ე იქნება და საშუალება მიეცემა, მე-1000 სანაკრებო ქულა გააკეთოს.

საქმე ისაა, რომ უილკინსონმა უელსთან შეხვედრაში სუსტად ითამაშა, ასევე არასპორტული საქციელიც ჩაიდინა და ყოველივე ამის გამო შეიძლებოდა, შემადგენლობის გარეთ დარჩენილიყო. მით უმეტეს, მის ადგილს ახალგაზრდა ვარსკვლავი დენი კიპრიანი სულმოუთქმელად ელის.

„ვარდების“ დამრიგებელი ბრაიან ეშტონი შიშობს, რომ ჯონი მომხდარის გამო გაბრაზებულია და იგი ეცდება, ჯავრი იტალიელებზე იყაროს, თუმც შესაძლოა, ამით საკუთარი გუნდიც აზარალოს.

ეშტონის ამ კომენტარებზე ჟურნალისტები „ვილკოს“ დაეკითხნენ.

„მართალია, უელსთან საშინლად ვითამაშე, მაგრამ ამის გამო არ დავბოღმილვარ. მე პროფესიონალი მრაგბე ვარ, ემოციებს არ ავყვები. უელსთან შეხვედრის შემდეგ ცოტა ძილი გამიკრთა, მაგრამ ჩვენ რაგბის ვთამაშობთ და არა პოლიტიკურ თამაშს. არ ვივარგებ და არც მეწყინება, რომ ნაკრებში აღარ დამიძახონ. გაზეთებს არ ვკითხულობ, მაგრამ ვხვდები, უელსთან მატჩის გამო რა კრიტიკაც დამატყდებოდა თავს. არ იფიქროთ, თითქოს ჩემს შეცდომებს ვერ ვხვდებოდე. ამ დღეებში მხოლოდ ჩანაწერს ვუყურებ და ყველაფერს ვაანალიზებ. გაბრაზების რა მოგახსენოთ, მაგრამ იტალიასთან განსაკუთრებული შემართებით გავალ მოედანზე და ყველას დავანახვებ, რომ ფეხი ძველებურად მიჭრის“ — თქვა უილკინსონმა.

ზურაბ მიგრიაული

ირლანდია სამკურნალოა
ოდრისკოლმა რეცეპტი გაამზადა

ბოლო დროს არეულ ირლანდიელებს ვისაც არ ეზარება, ყველა აკრიტიკებს. ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ედი ოსალივანის პოზიციებიც სუსტდება. გუნდში ბრაიან ოდრისკოლსაც კი ლიდერობას ეცილებიან. მოკლედ, „სამყურების“ რიგებში დიდი არეულობაა, რაზეც მათივე თამაშის ხარისხის მკვეთრი დაცემაც მეტყველებს. ექვსი ერის მომდევნო ჯახს ირლანდიელები პარიზში ფრანგებთან გამართავენ, სადაც მათ 1972 წლის შემდეგ არ მოუგიათ. ახლა ბრიტანელებს სულ მთლად ცუდად აქვთ საქმე, იმიტომ რომ მათმა მეტოქემ პირველ ტურში გასვლაზე შოტლანდია დაჩაგრა ულამაზესი და რაც მთავარია, შედეგიანი რაგბობით.

„სამყურების“ კაპიტნის ბრაიან ოდრისკოლის აზრით, შელახული რეპუტაციის აღდგენა მხოლოდ მოედანზე შეიძლება...

— მართალია, პირველი შეხვედრა იტალიასთან მოვიგეთ, მაგრამ აშკარაა, რომ ჩვენ საჭირო ფორმისგან შორს ვართ. გუნდის თითოეული წევრი უნდა მიხვდეს, ნაკრები სამკურნალოა და მის გამოჯანმრთელებაში წვლილს ყველა თუ არ შევიტანთ, ისე არაფერი გვეშველება. მომავალი მატჩისთვის სიტუაცია კი ასეთია: ვეთამაშებით საუკეთესო ფორმაში მყოფ საფრანგეთს. დავძენ, რომ შეიძლება, საფრანგეთის ნაკრები მსოფლიოში ერთადერთი გუნდია, ვისაც ახალი ზელანდიის დამარცხება შეუძლია. გამოსავალს მხოლოდ ბოლომდე ბრძოლასა და თავდადებაში ვხედავ. ცოტა უნდა გაგვიმართლოს კიდეც, იღბალი ნამდვილად დაგვჭირდება. ყოველი მოთამაშე თავს ზემოთ უნდა ახტეს და მხოლოდ მაშინ გამოჩნდება ფრანგთა სისუსტეები. „მაბლებს“ კი სუსტი წერტილები ნამდვილად მოეძევებათ“ — განაცხადა ბრაიან ოდრისკოლმა.

ზურაბ მიგრიაული

საქართველოს ჩემპიონატი სუპერლიგა. XV ტური

7 თებერვალი. ვერის ბაღი

დინამო 77:75 მაკაბი

23:20 11:29 22:12 21:14

დინამო: ჟღენტი (29), გულისაბედაშვილი (14), კუჭავა, ახალკაცი (14), ათანელაშვილი (8); მაისურაძე (5) ლაფანაშვილი (4), სიგუა (1), ნანიტაშვილი

მაკაბი: აჰმედიანი, სორდია (3), ვაშაკიძე (5), ს. შერმადინი (4), გ. შერმადინი (26 ქულა, 19 მოხსნა); ი. ბერიშვილი (21), კორკოტაძე (8), კოლუაშვილი (8)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, დავით არეშიძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

ავიამშენი 71:77 ენერჯი-ინვესტი

18:39 20:11 24:9 9:18

ავიამშენი: ტულუში (14), ნიკოლაძე (25), ხოშტარია (12), მათიაშვილი (9), სუხიშვილი; მინაშვილი (2), კვიმსაძე

ენერჯი: ჩიტაშვილი (14), ბოისა (14), ლეჟავა (16), სტეფანოვი (10), ბაბიაშვილი (12); ტუჯანი (4), ლიპარტელიანი (3), დიდია (2), გოგობერიშვილი (2)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მალხაზ ანდღულაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

ვითა 81:91 თსუ

27:25 17:36 9:22 28:8

ვითა: ძიძიგური, ნ. ნოზაძე (2), ბეჟანიშვილი (10), მ. ბერიშვილი (8), მარკოიშვილი (15), მარხვაშვილი (9), ბერძენიშვილი (14), წივწივაძე (9), გვიმრაძე (16), მარიტაშვილი, ლ. ნოზაძე (8)

თსუ: არწივიძე, ფანრულიძე (4), დ. ბერიშვილი (17), ბარბაქაძე (28), კოხრეიძე (3), ყველაშვილი (8), კეიდია (7), ხეცურიანი (15), ტყეშელაშვილი (8), ბ. ნოზაძე (1)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

ყინული გალღვა, რუსთავმა მოიგო

გუშინ სუპერლიგის ერთ კვირაში ჩატეული მესამე წრე დასრულდა და ყველამ შვებით ამოისუნთქა. გაყინული ვერის ბაღიდან გამთბარ-გაბრწყინებულ სპორტის სასახლეში თამაში კალათბურთელებისთვის ხომ ნეტარება იქნება და ეგებ მაყურებელიც მომრავლდეს.

მესამე წრის ბოლო ტურის მთავარი დაპირისპირება „ავიამშენისა“ და „ენერჯი-ინვესტის“ შეხვედრა გახლდათ. თუმცა მანამდეც საინტერესო მატჩი გაიმართა, რომელშიც აუტსაიდერები არკვევდნენ ურთიერთობას. ის დაგეგმილზე 2 საათით ადრე ჩატარდა. „მაკაბის“ მწვრთნელის, ჯამლეტ ხუხაშვილის დედის დაკრძალვის გამო ამ გუნდის „დინამოსთან“ დაპირისპირება ნაადრევად გაიმართა და უინტერესოდ დაწყებული, დაძაბული ფინალით დამთავრდა.

„ავიატორ“ კოტე ტულუშს რუსთაველი ანატოლი ბოისა ლანდივით აეკრა

„მაკაბი“ თავისი გოლიათი ცენტრის, გიორგი შერმადინის დახმარებით დიდი შესვენებისთვის 15 ქულით გალიდერდა, მაგრამ მეორე ტაიმში დინამოელთა ვეტერანი გამთამაშებლის, არჩილ ჟღენტის დრო დადგა და მისი უხვქულიანობით ზაზა ცაგარეიშვილის გუნდმა პრინციპული მეტოქე დაამარცხა.

ამის შემდეგ მთელი ორსაათიანი შესვენება გამოცხადდა და 3 საათისთვის ტურის, უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, წრის ცენტრალური შეხვედრაც დაიწყო. „ავიამშენსა“ და „ენერჯი-ინვესტს“ ამ წრეში თითო წაგება უკვე მოესწროთ, ორივემ აუტსაიდერთან წაიფორხილა და ერთმანეთს რომ არაფერს დაუთმობდნენ, ეს წინდაწინ იყო ცნობილი. შეხვედრა საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა, თუმცა პირველ მეოთხედზე ეს არ ითქმის.

მატჩი რუსთაველთა აზვირთებით დაიწყო. დავით უსტიაშვილის შეგირდებს ყველაფერი გამოსდიოდათ, თუმცა ყველაზე კარგად სწრაფ შეტევებს და გონივრულ, საორქესტრო გადაცემებს ართმევდნენ თავს. ქვემოქართლელები კარგად კი ირჯებოდნენ, მაგრამ ამაში მათ, ასე ვთქვათ, „ავიატორებიც“ ეხმარებოდნენ. ლევან მოსეშვილის სამწყსოსთვის საწყის ათწუთიანში დაცვა არ არსებობდა: „ავიამშენი“ თავის ნახევარზე თავს არ იწუხებდა, რაც ანგარიშში უმალ აისახა. ბაბიაშვილის, ბოისას და ლეჟავას ქულუხვობით „ენერჯი-ინვესტის“ ლიდერობამ პირველი შესვენებისთვის 20 ქულას გადააჭარბა — 39:18.

მეორე მეოთხედში რუსთაველთა თავკაცმა მთელი წინა ხაზი გამოცვალა, მაგრამ სათამაშო სტილი, რაც სწრაფ შეტევებზე იყო აგებული, იგივე დატოვა. „ავიატორებმა“ კი მხოლოდ ერთი მეფარე შეცვალეს — ვახტანგ მინაშვილის ნაცვლად თამაშში დავით იმნაძე ჩაერთო, მაგრამ როგორც გამოჩნდა, მოსეშვილს ფარქვეშეთის გამაგრება მიზნად არ ჰქონია. „ავიამშენმა“ დაცვა გაამაგრა და რუსთაველებს კონტრშეტევებზე ჩაუსაფრდა — კოტე ტულუშმა და გიორგი ნიკოლაძემ დიდი შესვენებისთვის ჩამორჩენა 12 ქულამდე შეამცირეს — 38:50.

მესამე მეოთხედი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. „ავიამშენმა“ უბადლო დაცვა ითამაშა და იმდენი მოახერხა, რომ მანამდე არსებული ჩამორჩენა გადამწყვეტი ათწუთეულის დაწყებამდე აღმოუხვრა.

...ნიკოლაძის ტყუპი სამქულიანების წყალობით „ავიატორები“ მესამე მეოთხედის დასაწყისში 8 ქულით კი მიუახლოვდნენ რუსთაველებს, მაგრამ ანატოლი ბოისამ და მიხეილ ჩიტაშვილმა იჩუბინეს და „ენერჯი-ინვესტის“ უპირატესობა ისევ სოლიდური გახადეს — 58:44.

აი, აქ დაიწყო, რაც დაიწყო. „ავიამშენმა“ ისეთი დაცვის ჯებირი აშენა თავის საჯარიმოსთან, მას რუსთაველთა ბურთი კი არა, ჩიტიც ვერ გადააფრინდებოდა. „ენერჯი-ინვესტი“ ბურთებს კარგავდა, შეტევისთვის განკუთვნილ 24 წამის წესს არღვევდა, მიზანში ვერ ახვედრებდა — ერთი სიტყვით, ქულების მოპოვების მეტს ყველაფერს აკეთებდა.

„ავიამშენი“ კი პირიქით, მეტოქის დაკარგული ბურთები შეტევაში გადაჰქონდა და სწრაფი გარღვევებით ქულებს უხვად იხვეჭდა. ამ ყველაფრიდან ის გამოვიდა, რომ მოსეშვილი ‹ გუნდმა მესამე მეოთხედის ბოლო 6 წუთი 18:1(!) მოიგო და გადამწყვეტი პერიოდის წინ 62:59 დაწინაურდა.

თითქმის მოპოვებული გამარჯვება რუსთაველებს ხელიდან ეცლებოდათ და მათაც დაცვით სცადეს ვითარების გამოსწორება. ანატოლი ბოისა „ავიატორთა“ წინამძღოლ ტულუშს აეკიდა და გასაქანი შეუზღუდა, იქით მისმა თანაგუნდელებმაც გამოიღეს ხელი და მოსეშვილის შეგირდებმა შეტევაში შეცდომებს უხშირეს. ამან, თავისთავად ქვემოქართლელთა წისქვილზე დაასხა წყალი და რუსთაველებმა ჯერ ლიდერობა დაიბრუნეს, მერე კი ლეჟავას, ჩიტაშვილისა და იოვან სტეფანოვის მეოხებით გამარჯვებისთვის სამყოფი ქულებიც მოიპოვეს.

				ირაკლი პერტაია
ენერჯი	15	13	2	28
თსუ	15	10	5	25
ავიამშენი	15	7	8	22
დინამო	15	6	9	21
ვითა	15	5	10	20
მაკაბი	15	4	11	19

ფოტო: ფოტოკორესპონდენტი



დევია თუ ინვალიდი?

მოსახდენი მოხდა, შაკილ ონილი ფინიქს სანზში გადავიდა!

ყველაფერი რაღაც უცაბედად და ყოველგვარი ზედმეტი მითქმა-მოთქმის გარეშე დაგვირგვინდა. „ფინიქსის“ და „მაიამის“ წარმომადგენლები ალბათ სამჯერაც არ შეხვედრიან ერთმანეთს, ასე, სულ რაღაც ორ დღეში შაკილ ონილი შონ მერიონში გაცვალეს. მაგრამ ვინაიდან შაკი წელიწადში 20 მილიონი ღირს, მერიონი კი გაცილებით ნაკლები, „მაიამიმ“ ამ უკანასკნელთან ერთად ხურდაში მარკუს ბანქსიც მიიღო.

აბა, მერე ატყდა, თუ ატყდა ლაპარაკი და განსჯა. ამერიკულ კალათბურთზე ვისაც ეთქმოდა და არ ეთქმოდა სიტყვა, ყველამ პირი მოაღო და დაიწყო იმის გარჩევა, ვინ მოიგო და ვინ წააგო ამ ხმაურიანი გაცვლით. ბევრი „ფინქსის“ გენერალურ მენეჯერ სტივ კერს მისდგა — სუპერგუნდი ჰყავდა, ზესწრაფი და მოუხელთებელი, მერიონის გაშვებით და ბეხრეკი, ყავლგასული ონილის მიყვანით კი ვერც ფარს გაამაგრებს, ამარე სტუდემაიერსაც შებოჭავს და იმ სისწრაფესაც დაკარგავს, რაც „მზეების“ უპირატესობა იყო ნებისმიერ გუნდთანო. ფორუმები უნდა ნახოთ, ზოგიერთი კერს ვირსაც უწოდებს, სანამ yahoo.com-ის საკალათბურთო ანალიტიკოსი იყო, ბრძნულ ფრაზებს ისროდა, ახლა კი ჩინოვნიკური მუშაობა იმით დაიწყო, რომ თანამედროვე ნბა-ს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი დანგრევის პირას მიიყვანაო.

კერს კი თავისი არგუმენტები აქვს. მისი აზრით, მფრინავმა „ფინიქსმა“ შესაძლებლობები ამოწურა. რეგულარულში „მზეები“ ახლოს ბევრს არავის იკარებენ, პლეი ოფში კი ისინი გარკვეულ დონემდე მიდიან, შემდეგ კი კონფერენციის ფინალში ან ნახევარფინალში სოლიდურ, თანაბრად დაკომპლექტებულ გუნდთან, მაგალითად, „სან ანტონიოსთან“, ან „დალასთან“ აგებენ. რაღაცის შეცვლა იყო საჭირო და კერმა ასე შეცვალა „ფინიქსი“, გუნდი რომელიც 40 წელი ჩემპიონობას ელის, მუდამ აქვს ამბიცია, მაგრამ ბოლომდე ვერ გააქვს თავისი. სწორი იყო თუ არა ნბა-ს ხუთგზის ჩემპიონის, შემდეგ მიმომხილველის, ბოლოს კი ფუნქციონერად ქცეული სტივ კერის ეს ნაბიჯი, მხოლოდ სეზონის ბოლოს გამოჩნდება. კრიტიკა და ოპოზიციონერობა კი იოლია. ერთია, იჯდე სტუდიაში და იქიდან აფრქვევდე ბრძნულ აზრებს სხვათა შესახებ და მეორე, გუნდის მართვის პასუხისმგელობა იტვირთო და ურთულესი გადაწყვეტილება მიიღო.

სტივ კერმა გადაწყვეტილება მიიღო — შედეგად ნბა-ს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი, მაგრამ ახლა, 36 წელს მიტანებული შაკილ ონილი თავის მეოთხე გუნდში ითამაშებს „ორლანდოში“ გატარებული 4, „ლეიკერსში“ გაბრწყინებული 8 და „მაიამიში“ ჩარიხინებული სამნახევარი სეზონის შემდეგ. ის ალბათ „ფინიქსშივე“ დაასრულებს კარიერას. მთავარია, შაკი შეძლებისდაგვარად იშვიათად დაიმტვრეს და საშუალოდ ასე, 15 ქულა და 7-8 მოხსნა მაინც აკეთოს.

თვითონ ფინიქსელები რა აზრისანი არიან ბებერი ვარსკვლავის მისვლაზე? გუნდის ლიდერი სტივ ნეში გაურკვევლობაშია, მას ხომ საუკეთესო დამცველი და სწრაფ თამაშში ამყოლი მერიონი გამოაცალეს, შაკს კი როგორ შეეწყობა, ჯერ არ იცის — „შოკში ვარ, ყველაფერი

შონ მერიონმა ცხრა წელი შეალია „ფინიქსს“. ახლა ის მაიამელია

უცებ, 24 საათში მოხდა, ცუდია. რომ შონი დავკარგეთ, მაგრამ მეორეს მხრივ შაკილ ონილთან თამაშის პერსპექტივა ძალიან მომხიბვლელი ჩანს.“

მეორე მხრიდან რომ შევხედოთ ამ გაცვლას, „მაიამის“ შაკის გაშვებით არაფერი წაუგია, „პირიქით, გვარიანად მოიგო კიდეც. ბოლო ოთხი წელია, მერიონი „ფინიქსში“ მხოლოდ მესამე კაცი იყო ნეშის და სტუდემაიერის შემდეგ და ბოლო ხანებში განსაკუთრებით უკმაყოფილოდ ასრულებდა ამ როლს. სეზონის დასაწყისში გაცვლაც ითხოვა. ალბათ ამის გამოც მოხდა, რომ „ფინიქსმაც“ და „მაიამიმაც“ უცებ გამონახეს საერთო ენა და ასეთი საქმე გაჩარხეს. „მაიამისთვის“ პირდაპირ მისწრება იქნება სამგზის ოლსტარელი, 29 წლის ჯან-ღონით აღსავსე, ათლეტური და სწრაფი მერიონი, ვინაც მთელი კარიერა ერთ გუნდში გაატარა და ახალ გარემოში ორმაგად უნდა მოინდომოს. მთავარია, ის და დუეინ ვეიდი ერთმანეთს კარგად შეეწყონ. წელს ალბათ ბევრს ვერას იზამენ, მაგრამ მომავალი სეზონიდან პლეი ოფში დაბრუნებას გეგმავენ.

ძოტე ყორშია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

მე თქვენ მოგიტანთ ჩემპიონობას!

6 თებერვალი

ატლანტა 98:95 ლეიკერსი

ატლანტა: ე. ჯონსონი (2), ჯ. ჯონსონი (28), მ. უილიამსი (12), სმიტი (17 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი, 5 დაფარება), ჰორფორდი (15 ქულა, 20 მოხსნა); ლუ (16), ჩილდრესი (8), ფაჩულია (8 წუთი, 0 ქულა, 2 მოხსნა, 1 დაფარება), ვესტი

ლეიკერსი: ფიშერი (17), ბრაიანტი (11 ქულა, 10 პასი), რადმანოვიჩი (10), ოდომი (19 ქულა, 11 მოხსნა), გასოლი (12); ვუიაჩიჩი (10), უოლტონი (9), ფარმარი (2), ტურიაფი (2)

ფინიქსი 130:132 ნიუ ორლეანი

27:27 28:36 27:24 29:24 13:13 6:8

ფინიქსი: ნეში (32 ქულა, 12 პასი, 10 დაკარგვა), სტუდემაიერი (26 ქულა, 10 მოხსნა), დიაუ (22), ბარბოსა (22)

ნიუ ორლეანი: პოლი (42 ქულა, 9 პასი, 8 ჩაჭრა), სტოიაკოვიჩი (26), პარგო (22), ვესტი (21 ქულა, 13 მოხსნა)

დენვერი 115:118 იუტა

ძირითადი დრო 106:106

დენვერი: აივერსონი (34 ქულა, 10 პასი), ენტონი (29), მარტინი (18 ქულა, 10 მოხსნა), კემბი (10 ქულა, 17 მოხსნა 4 დაფარება)

იუტა: უილიამსი (29 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა), კორვერი (27), ოქური (15 ქულა, 10 მოხსნა), ჰარპრინგი (13)

ვაშინგტონი 77:85 სან ანტონიო

ვაშინგტონი: ჯემისონი (18), ბლეტჩი (16)

სან ანტონიო: დანკანი (23)

პორტლენდი 100:97 ჩიკაგო

პორტლენდი: როი (28), ოლდრიჯი (18)

ჩიკაგო: სეფოლოშა (22), ნოჩიონი (22)

დეტროიტი 100:95 მაიამი

დეტროიტი: ვოლესი (26 ქულა, 10 მოხსნა), ჰამილტონი (19), ბილაფსი (15 ქულა, 10 პასი), პრინსი (14)

მაიამი: ვეიდი (30 ქულა, 12 პასი), დევისი (20)

ნიუ იორკი 100:103 ინდიანა

ნიუ იორკი: რენდოლფი (26), კროუფორდი (21), კარი (20)

ინდიანა: რაში (24), დანლივი (17 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), გრეინჯერი (16)

ბოსტონი 111:100 კლიპერსი

ბოსტონი: რონდო (24 ქულა, 8 ჩაჭრა), რ. ალენი (19), ტ. ალენი (17), პირსი (15)

კლიპერსი: მაგეტი (33), მობლი (16)

დალასი 107:96 მილუოკი

დალასი: ნოვიცკი (29 ქულა, 12 პასი, 10 მოხსნა), ტერი (23), ჰოვარდი (17)

მილუოკი: უილიამსი (36), ბოგუტი (24 ქულა, 14 მოხსნა), ვალანუევა (16)

საკრამენტო 92:105 სიეტლი

საკრამენტო: არტესტი (20)

სიეტლი: უოტსონი (23 ქულა, 10 პასი, 10 მოხსნა), დურანტი (17)

ორლანდო 100:84 ნიუ ჯერსი

ორლანდო: ჰოვარდი (21 ქულა, 13 მოხსნა), ლუისი (19), თურქოღლუ (19)

ნიუ ჯერსი: კარტერი (18), კიდი (13)

შაკილ ონილი უკვე ფინიქსელია და არიზონულ უდაბნოში აფეთქებული ამ ქალაქის ცხოვრების რიტმში ჯდება. მართალია, ახლა მას ტრავმა აქვს, მაგრამ მაინც მივიდა ახალი გუნდის თამაშზე და ხალხმა დიდ ეკრანზე რომ დაინახა დიდი კალათბურთელი, ფეხზე წამომდგარმა რამდენიმეწუთიანი ოვაცია მოუწყო. შაკმაც შეიფერა, საჩემპიონო ბეჭედი „გაამარიაჟა“ და ფინიქსელებს ჟესტებით ანიშნა, თქვენც მოგიტანთ ჩემპიონობასო, რაზეც 20-ათასიანი დარბაზი ლამის დაინგრა.

მაგრამ შაკის გარდა იქ სანახავი სხვაც ბევრი იყო. „ფინიქს სანზი“ „ნიუ ორლეან ჰორნეთსს“ მასპინძლობდა და სტივ ნეშმა და კრის პოლმა ისეთი ბურთაობა გააჩაღეს, რომ გამარჯვებული მხოლოდ მეორე ოვერტაიმში გაირკვა. ნეშმა „ფინიქსს“ 32 ქულა და 12 პასი გაუხერხა, მაგრამ 10-ჯერაც დაკარგა ბურთი. კარგი იყო პოლიც, მაგრამ არც ის ირჯებოდა იდეალურად. 42 ქულას და 9 პასს მან კარიერაში უმეტესი, 8 ჩაჭრაც მოაყოლა, მაგრამ ამ 42 ქულიდან 40 ძირითადში გააკეთა, ოვერტაიმებში კი თითქოს მოედნიდან წაშალესო. მის გუნდს მოულოდნელად ულიდერა ვინმე ჯენარო პარგომ, ვინაც ორ დამატებით ხუთწუთეულში „ნიუ ორლეანის“ 21 ქულიდან 12 გააკეთა. მოკლედ, ეს იყო სუპერმატჩი, რომლის მსგავსსაც ყოველ სეზონში ორ-სამს ატარებს „ფინიქსი“. ამ გუნდმა ახლა ონილში გაცვლილი საუკეთესო მომხსნელ შონ მერიონის გარეშე ითამაშა და როგორც ხედავთ, არცთუ ურიგოდ. ეგზა, არ გაუმართლა და წააგო.

დამარცხდა შაკილ ონილის ოდინდელი გუნდი „ლეიკერსიც“, რომელსაც ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“ ბოლო წუთებზე ავჯობა, ოღონდ ამაში ქართველი ცენტრის წვლილი არცთუ თვალსაჩინოა. „ატლანტაში“ საუკეთესონი იყვნენ მაღლები — ჯოშ სმიტი და ალ ჰორფორდი, „ლეიკერსი“ კი კობი ბრაიანტთან ერთად ახლა უკვე ახალწვეულმა პაუ გასოლმაც დაიღალატა, ვინაც 37 წუთში 12 ქულით შემოიფარგლა. ბრაიანტს მხოლოდ 11 ჰქონდა.

ზედიზედ მეათე თამაში მოიგო „იუტამ“ მიუხედავად იმისა, რომ ჩაუფლავდა ორი ლიდერი — კარლოს ბუზერი (8 ქულა) და ანდრეი კირილენკო (9 ქულა).

„დალასის“ გერმანელმა ლიდერმა დირკ ნოვიცკიმ კი კარიერის პირველი სამმაგი დუბლი შეასრულა...

ძოტე ყორშია

აღმოსავლეთი				NBA
ატლანტიკა				
ბოსტონი	37	9	80,4	NBA
ტორონტო	26	21	55,3	NBA
ნიუ ჯერსი	20	29	40,8	NBA
ფილადელფია	19	30	38,8	NBA
ნიუ იორკი	14	35	28,6	NBA
ცენტრალური				
დეტროიტი	35	13	72,9	NBA
კლივლენდი	27	20	57,4	NBA
ინდიანა	20	30	40,0	NBA
ჩიკაგო	19	29	39,6	NBA
მილუოკი	19	31	38,0	NBA
სამხრეთ-აღმოსავლეთი				
ორლანდო	32	19	62,7	NBA
ვაშინგტონი	24	24	50,0	NBA
ატლანტა	21	24	46,7	NBA
შარლოტი	18	31	36,7	NBA
მაიამი	9	38	19,1	NBA

დასავლეთი			
სამხრეთ-დასავლეთი			
დალასი	33	15	68,8
ნიუ ორლეანი	33	15	68,8
სან ანტონიო	31	16	66.0
ჰიუსტონი	28	20	58,3
მემფისი	13	35	27,1
ჩრდილო-დასავლეთი			
იუტა	32	18	64,0
დენვერი	29	19	60,4
პორტლენდი	28	20	58,3
სიეტლი	13	36	26,5
მინესოტა	10	37	21,3
წყნარი ოკეანე			
ფინიქსი	34	15	69,4
ლეიკერსი	31	17	64,6
გოლდენ სტეიტი	29	19	60,4
საკრამენტო	22	25	46,8
კლიპერსი	15	31	32,6

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი



ჯეკი მალიამ ინდოეთს პირველი ფორმულა აჩუქა

დიდი ინდოეთი 01-ით იწყებს

WJM01, ასე ჰქვია ძველი „სპაიკერის“ ბაზაზე დაფუძნებული ახალი საპირველფორმულო გუნდის, „ფორს ინდიას“ ახალ ბოლიდს, რომელიც ფართო საზოგადოებრიობას გუშინ მუმბაიში (ძველი ბომბეი) წარუდგინეს.

ბოლიდის აბრევიატურა მარტივად იშიფრება, თუ გავითვალისწინებთ, რომ გუნდის მფლობელი ინდოელი მილიარდელი ვიჯაი მალია გახლავთ, რომელმაც განაცხადა, 2010 წლისთვის „ფორს ინდია“ იმდენად ძლიერი იქნება, პოდიუმებზე მოსახვედრად იბრძოლებსო.

ახალი მფლობელის პატივსაცემად წოდებული ბოლიდი მნიშვნელოვნად განსხვავდება ძველი „სპაიკერისგან“, თუმც ახალი გუნდისგან წლეულს რაიმე განსაკუთრებული მოსალოდნელი არ არის.

ადრიან სუტილი, „ფორს ინდიას“ პილოტი: „ბოლო ხანებში გუნდში ძალზე ბევრი რამ შეიცვალა. ახლა ჩვენ უკეთესი სტრუქტურა გვაქვს, საქმეში მეტი პროფესიონალიზმი ჩანს და ეს ყველაფერი პროგრესის საფუძველია. თუმცა, არა მგონია, წლეულს ყველაფერი რადიკალურად შეიცვალოს. თუ მოვახერხებთ აეროდინამიკის გაუმჯობესებას, შესაძლოა, წრეზე ნახევარი წამი მოვიგოთ. ალბათ ეს საკმარისი იქნება, კვალიფიკაციისას მეორე სესიაში რომ გავიდეთ ხოლმე და რეგულარულად მოვიპოვოთ ქულები. მეტს ამ სეზონში ვერ შევძლებთ“.

თანაგუნდელზე ოპტიმისტურადაა განწყობილი „ფორს ინდიას“ პირველი მრბოლი ჯანკარლო ფიზიკელა, ვინც ვიჯაი მალიამ „რენოში“ უსაქმოდ დარჩენის შემდეგ აიყვანა გუნდში: „ყველაფერი ნორმალურადაა. ბოლო ტესტებზე ნაჩვენები შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. რაც მთავარია, გუნდში უაღრესად კარგი ატმოსფერო, განსაკუთრებით ბარსელონური ტესტების შემდეგ, როდესაც ერთ-ერთ დღეს ძალიან სწრაფები ვიყავით. ეს უკვე სტიმულია, მით უმეტეს, რომ მოტივაცია ისედაც არ გვაკლდა. როდესაც გუნდში მაიკ გასქოინის და მარკ სმიტის დონის პროფესიონალები არიან, ეს უკვე იმის გარანტიაა, რომ წინ წასვლა შეგვიძლია. პირადად მე მაქსიმალისტი ვარ — მსურს რაც შეიძლება მეტი ქულა რომ მოვიპოვო და იქნებ 2009 წელს პოდიუმზეც შევდგე“.

„ფორს ინდიას“ ტექნიკური დირექტორი მაიკ გასქოინი მართლაც რომ ცნობილი სახეა სამეფო რბოლებში და ვიჯაი მალია მასზე დიდ იმედებს ამყარებს. თავად გასქოინი ფიქრობს, რომ წლეულს არა და, 2009 წლის სეზონში მათი გუნდი აუტსაიდერი აღარ იქნება: „გვაქვს საიმისო საფუძველი, რომ პროგრესის გვჯეროდეს. გვარიანი ბიუჯეტი გვაქვს და დამატებითი რესურსების გამოძებნით მწვერვალებისკენ წასვლა შეიძლება. ერთი წლის შემდეგ გაცილებით ძლიერები ვიქნებით. თუ რამდენად ძლიერნი, ეს სხვა საკითხია, რადგანაც ჩვენ მაინც პატარა საჯინიბო ვართ. თუმცა, დღევანდელი ბიუჯეტით პროგრესი შესაძლებელია და იქნებ, შემთხვევით, წლეულსაც კი ავიდეთ პოდიუმზე. მეორეს მხრივ, „ფერარი“ და „მაკლარენი“ სულ სხვა პლანეტაზე არიან. სხვა გუნდები პრეზენტაციებისას რადიკალურ ცვლილებებზე კი ლაპარაკობენ, მაგრამ რაღაც ვერ ვხედავ, მათი ბოლიდები უფრო სწრაფი იყოს. ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა წავიდეთ წინ და მერე პოდიუმი, უკვე შემთხვევის ამბავი აღარ იქნება“.

კახა ლომაძე

მალტის თასი. ლა ვალეტა. მალტა. 4-10 თებერვალი

დეილმა ძველი ჩემპიონები მოილია

„მალტის თასზე“ ჯგუფური ეტაპს მესამე სათამაშო დღე მიილია და ის მოწინავე ნი გამოიკვეთნენ, ჯგუფებში გამარჯვებისა და ნახევარფინალში გასვლის რეალური შანსი რომ აქვთ.

A ჯგუფში მსოფლიოს ჩემპიონი, შოტლანდიელი ჯონ ჰიგინსი ლიდერობს, რომელმაც ორი მოგების შემდეგ, ინგლისელ ალისტერ კარტერთან ფრედ, 3:3 ითამაშა. ესეც რომ მოეგო, ჰიგინსი ნახევარფინალის საგზურს ინაღდებდა, ახლა კი მისი დაწევის თეორიული შანსი კარტერს და ჯო პერის აქვთ. ამ უკანასკნელმა მესამე დღეს 4:2 სძლია მალტელ ალექს ბორგს.

სამიდან სამი მოგება აქვს ირლანდიელ მსოფლიოს ექსჩემპიონ კენ დოჰერტის და B ჯგუფს სწორედ ის ლიდერობს. მესამე ტურში დოჰერტიმ 5:1 დაჯაბნა ჯო სვეილი, ხოლო ჯგუფის მეორე მატჩი ავსტრალიელ ნილ რობერტსონსა და ჰონკონგელ მარკო ფუს შორის ფრედ, 3:3 დასრულდა. დოჰერტის რობერტსონთან დარჩა სათამაშო და ჯგუფში პირველობისთვის ფრეც ჰყოფნის.

C ჯგუფში მსოფლიოს ექსჩემპიონები, ინგლისელი შონ მერფი და ლეგენდარული შოტლანდიელი სტივ ჰენდრი ლიდერობენ. მესამე სათამაშო დღეს მათ ერთნაირი ანგარიშით, 4:2 იმარჯვეს. მერფიმ უპრინციპულესი მეტოქე, შოტლანდიელი სტივ მაგუაერი დაჯაბნა, მერფიმ კი მასპინძელი ტონი დრეგო დაამარცხა. მერფის სამ თამაშში სამი მოგება აქვს, ჰენდრის — ორში ორი და ყველაფერი მათ უშუალო დაპირისპირებაში გაირკვევა.

რაც შეეხება D ჯგუფს, აქ სამიდან სამი მოგებით 2007-08 წლების სეზონის პირველი სარეიტინგო ტურნირის, „შანხაის მასტერსის“ გამარჯვებული, უელსელი დომინიკ დეილი ლიდერობს. თანაც, მან სამივე ჯერზე მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონები დაამარცხა და შოტლანდიელ გრემ დოტსაც, უელსელ მარკ უილიამსსაც და ინგლისელ პიტერ ებდონსაც ერთნაირი ანგარიშით — 4:2 სძლია. დეილს ჩინელ ვუნდერკინდ დინ ჯუნხუსთან დარჩა სათამაშო და საბოლოო წარმატებისთვის ფრეც ჰყოფნის. ძველმა ჩემპიონებმა კი ჯგუფიდან გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგეს. ორი მათგანის, უილიამსისა და დოტის მატჩში უელსელმა სქოთს 4:2 აჯობა.



სტივ ჰენდრი

რეგულარული ჩემპიონატი

6 თებერვალი

ბუფალო 3:2 ნიუ ჯერსი

1:0 1:1 0:1 0:0 (1:0 გულიტეგით)

1:0 რაიანი (3), 2:0 ჰომინვილი (29), 2:1 რახუნეკი (36), 2:2 მოტო (47)

ფილადელფია 3:4 ვაშინგტონი

0:0 1:1 2:3

0:1 ლეიჩი (23), 1:1 კნუბლი (37), 1:2 ბრედლი (43), 1:3 კოზლოვი (44), 1:4 ოვეჩკინი (48), 2:4 კაპანენი (54), 3:4 ჯონსი (60)

ედმონტონი 4:1 ჩიკაგო

0:1 3:0 1:0

0:1 შარპი (20), 1:1 სტოლი (23), 2:1 პენერი (29), 3:1 მორო (29), 4:1 პიტკანენი (41)

სან ხოსე 1:3 კოლორადო

0:1 1:1 0:1

0:1 გუიტე (11), 1:1 მარლო (26), 1:2 ჰესნიკი (33), 1:3 ფინგერი (60)

ორი ოქრო ჟენევიდან

1-4 თებერვალს შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში ოლეგ ტაქტაროვის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა სამბოში, რომელშიც 25 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ, როგორც ვეტერანები, ასევე ახალგაზრდები. 74 კგ-ში ოქრო დაისაკუთრა ბექა იმერლიშვილმა, ვინც 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორია ახალგაზრდებს შორის. 68 კგ-ში კი ვეტერანმა სპორტსმენმა თეიმურაზ გიორგაძემ იჩემპიონა. საუკეთესო მსაჯად დაასახელეს საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ოთარ ყურაშვილი.

ლეონ მაისურაძე

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარეჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლილაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ეორეოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოვრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00